ომის თემამ კარგახანია დაკარგა „თემატური პრივილეგიები“. ახლა მხოლოდ თემით ფონის ვერ გახვალ, მყურებელი არაფერს არ გაატივებს. არც მასობრივ სცენებში ბუტაფორულ ხმალობას, არც კულოსებში ატეხილ ბაქთა-ბუთქს, შეიძლება ჯარისკაცის სიკვდილის სცენაში სიცილიც კი წასადეს მყურებელს, თუ მის გულს არ შეეხო კაცის ბედი, თუ არ გიწამა, თუ არ გაიზიარა შენი ტყვილი. მყურებელს ხიბლავს შემოქმედების ცოცხალი პროცესი, უშუალოდ მის წინ დაბადებული ემოცია და სიმაართე, ბეწვის ხიდზე უნდა გაიაროს, ვისაც დღეს სცენაზე სამამულო ომის სურათების გაყოცნა სურს. ეს გზა, — გზა ა. ფადეევის „ახალგაზრდა გვარდიის“ დადგმის დიდი წარმატებით თეატრა ი. კაულიამ და საერთოდ სოხუმის მთელმა თეატრმა (მანამდე ასევე წარმატებით გაიარა გორის თეატრმა ამავე პიესის დადგმის დროს). ერთ სცენაში, სულ რაღაც ერთ საათში მოექცა ომის მთელი საშინელება, გამოიხატა საბჭოთა ადამიანების გმირობა, სიკაბუტის ტყვილი, მამაცი სიკვდილი, დაუმთავრებელი სიკოცნის ნოსტალგია. თითქოს ყველაფერი შეიკრა, შეერთდა, ერთ დიდ მეტაფორულ სახეში მოექცა ყოველი — სიმულაკრა და სიყვარულიც, ზემიძეა და გლოვაც. ეს იყო ემოციურად დაშვებული, აზრით შეერთებული, მკაცრსა და მშვენიერ სცენურ ფორმში ამაღლებული რომანტიკული სანახაობა. თითოეული მსახიობი ისე შეერწყა და შეინეთა მეორეს, მეორე მესამეს და ისე გავრთიანდა ყველა, რომ შეუძლებელი გახდა მათი გამოცალკევება. აქ გამოიხატა რეჟისორის დიდი აზრიც: ხალხს, რომელსაც ასე უშუალოა გაერთიანება, ევრაზიან და ევრაფერი ვერ შეუძლია. ეს არის ხალხის ენერჯია, სხვადასხვა ერთა ნებისყოფა, მათი რწმენის ძალა. სუნთქვაშეკრული უცქეროდა მყურებელი მსაფრ ემოციურ სანახაობას, სადაც ყველაფერი იკრებოდა ერთი დიდი აზრითა და ემოციურ აფეთქებით. მომწუნსხავი და აღმატებული იყო მსახიობთა ვაბუკური ექსტაზი და გახვლებული თეატრალობა. ემოცია და ვენება თითქოს ფარვედა აარტის-

ტულს“, რათა გზა მისცემოდა ბუნების ხმებს, ასე ძალუ-მად რომ ისმის ხოლმე სიკაბუტის წლებში. პირველ-ქნელი უშუალოდა ეუფლებოდა ყველას და ყველა-ფერს. სცენაზე მსახიობები ნამდვილი ჯარისკაცებივით იბრძოდნენ. თავდაუზოგავი იყო მათი „თამაში“. „ხელში აყვანილ“ მყურებელს აოცებდა თეატრის თავგან-წირვის ნიჭი, რომელიც დიდსა და მნიშვნელოვან აზრს ადასტურებდა: ასე იბრძოდნენ ჩვენი მამები, ასე იბრძოლებენ ახალი თაობები, თუ ქვეყანას დასჭირდება! ამას გვეუბნებოდა „ბალადა ახალგაზრდა გვარდიელებზე“ და ჩვენ გვეგროდა მისი სიტყვისა, რამეთუ სიტყვა იყო მართალი! რეჟისორი ი. კაუელია და მთელი ჯგუფი მსახიობებისა, მშვენიერი სცენოგრაფია (შ. ზუციშვილი), მუსიკალური (ჯ. ბეგალიშვილი) და ქორეოგრაფიული გადაწყვეტა ქმნის სინთეზურ სახეს, ჰარმონიულობის პრინციპს რომ უდევს საფუძვლად. ჰარმონიულობის ამგვარი მიღწევა კი იშვიათია. „ემოციური მოტორი“ ზუსტად აბრუნებდა მეტაფორის ფრთებს და სცენა იმედს მაღალ ესთეტიკურ ღირებულებას. შატში გვარდიელობა ჩაყრის შემზარავ სურათსაც კი თან სდევდა რაღაც შინაგანი სინათლე. მათი დაღუპვის აუცილებლობის გრძნობა მტრის უთუო განადგურების მიმდებარედა. ფარული კონტრასტი კარგად იკითხებოდა სპექტაკლის სტრუქტურულად რთულ ფორმაში. თითქოს მარტვის სცენოგრაფია მრავალფეროვან გარემოს ქმნიდა. აქ ყველაფერი გათავისებული ჰქონდათ მსახიობებს, ყოველ მიზანსცენა, არტისტული ქმედობა და ინტონაცია. ყველაფერს ერთიანობა აქ მიიღწეოდა ძლიერი რიტმით, რომელიც ასე აერთებდა დარბაზსა და სცენას. რეჟისორი და მსახიობები პლასტიკურ სახეს აძლევდნენ თავიანთ შინაგან განცდას. პლასტიკითა და კომპოზიცი-ებით რეჟისორის გატაცება სრულ თანდგომას პოულობდა მსახიობთაგან. ამ ერთიანობამ შეკრა ისინი. ეს სუ-

ლიერი ერთობა, მხატვრული მრწამსის ერთგულმა იგძნობოდა არა მარტო სცენაზე, არამედ მთელ თეატრში და ეს არის ყველაზე ფასეული, რაც ერთობ ძლიერი მისაღწევია ხოლმე.

სექტაკლი თავისი ხასიათით არ მოითხოვს მსახიობთა გამოცალკევებას. თვით პრინციპი ვადაწყვეტისა თითქოს გამოირიცხავს კიდევ ღრმა ინდივიდუალიზაციას, მაგრამ რეჟისორმა საერთო პლანში მზინც იპოვა თითოეულის შტრიხი, მსახიობები (ნ. ყიფიანი, დ. ჯაიანი, გ. სირაძე, დ. გაიჩილაძე, ნ. ბექაური, ლ. მიქაშვიძე, ლ. პაპუაშვილი, თ. მილდიანი, ლ. კალანდაძე, შ. ქარჩავა, ს. პაკეორია, ბ. დვალისვილი, ნ. წერეთლიანი, ნ. ნოროშვილი, ნ. ქაროსანიძე, ვ. არღვლიანი, ლ. ლოგუა, ვ. შონია) ფუნქციონირებენ ზუსტად და მიზანდასახულად. ჩვენ საგზებოდ დავსახულეთ ყველა, რადგან ისინი ერთ მხატვრულ სახეს ქმნიან, ერთი მონუმენტური ძეგლის ნაწილებად ქცეულან და მისი დაშლა კი არა. მთლიანობა ანიჭებს მაყურებელს ნამდვილ მხატვრულ სიხარულს!

სეზანის პატარა სურათში მთელი ზღვა ეტევაო — უთქვამთ. რაღაც ამგვარი რამ ხდება ამ „პატარა“ სექტაკლში — მასში მთელი ომის ხასიათი ეტევა. სექტაკლის შემდეგ მაყურებელი გვიანობამდე დარჩა თეატრში. დიდხანს იბასეს, ცხარედაც იკამაუეს, ნაკლიც ითქვა და ბევრი კარგიც. თეატრზე საუბართოს კი რა გამო-

ლევს იქ, სადაც ახალი თეატრალური პრინციპები გაივლევებს, სადაც თავს იჩენს ტოტალური რეჟისორის ვისი ყოვლსომოცველობით, სადაც იცვეთება მსახიობის ზრდისა და ოსტატობის ურთულესი პრობლემები.

სოხუმის თეატრი თავისი შემოქმედების გარკვეულ ეტაპზე ამჟამად. ეს დიდი ტრადიციის თეატრი, სადაც არაერთი სახელოვანი რეჟისორული და აქტიორული მიღწევა ყოფილა, დღეს ცდილობს საშემსრულებლო ლექსიკის განახლებას, არტისტული არსენალის გადახინჯვას. პირობითი თეატრალური ტენდენციების ფართო დინამებში ეძებს ახალ ფორმებსა და საშუალებებს. გულუხვად იცენებს პლასტიკას, ქორეოგრაფიული ხელოვნების მიღწევებს. ვაბედულად წარმოაჩენს მეტაფორას, ხახს უსვამს მის სახვითობას, რეჟისორი ხშირად მიმართავს ერთხელ მიგნებული ეფექტური საშუალებების კომბინირებას, ახალი შინაარსით ავსებს მას და ხელახალ სივრცულს ანიჭებს. ზოგჯერ ერთობ სარისკოვან ამგვარი სელები, მაგრამ ისინი დიდ როლს ასრულებენ რეჟისორის თეატრალურ ხელწერაში.

მნიშვნელოვანი შემოქმედებითი ევოლუცია განიცადა ი. კაეულიამ, თ. ჩხეიძის „ვისია, ვისიდან“ ან თ. ოსე-ლიანის „ექვსი შინაბერადან“, ლ. ტოლსტოის „კაზაკებამდე“ — განვლილი გზა აღსაყვ იყო ძიებებით, წინააღმდეგობებით. მეთოდოლოგიურად სრულად ნათელი და „ტრადიციული“, პედაგოგიური ნიჰის რეჟისო-

სეზანის პატარა სურათში მთელი ზღვა ეტევაო
გვარდია






სენა სპექტაკლიდან „ახლაგზრდა გაზრდია“

რი სამოკდაათიან წლებში ახდენს თავისი თავის ვადა-ფასებას. „მასობრივი ინდივიდუალურის“ ძიებიდან „ინდივიდუალურში მასობრივის“ ხაზგასმასაც ცილობს, დ. კლიაშვილის ნაწარმოებთა დადგმაში (გორის თეატრში) აღწევს დიდ წარმატებას. მისთვის „სასინჯი ქვის“ ფუნქციას ასრულებს დ. კლიაშვილის პლასტიკა, ექს-ტი, კომპოზიცია და თამაშის წესი. გმირების ესთეტიკურად დახვეწილი მანერები, მოპრაობისა და მოქმედების დინამიკური ხასიათი უმდიდრეს გამოცდილებას აძლევს რეჟისურას. იგი გაბედულად აგრძელებს ერთხელ წარმატებულ გზას და მის შემოქმედებაში თანდათან იკვეთება 70-იანი წლების ქართული თეატრისათვის აგრე საინო ტენდენციები. ი. კაკულიას სპექტაკლები ა. ფადეევის „ახალადა ახალაგზრდა გვარდიელებზე“, ლ. ტოლსტოის „ახაჯები“, თ. ჭილაძის „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“, ნ. დუმბაძის „ნუ გეშინია, დედა“ ნათლად გამოხატავენ სოხუმის თეატრის ამჟამინდელ მხატვრულ დონეს. ერთგვაროვანია სპექტაკლების სტილისტიკა, მაგრამ ყოველი წარმოდგენა თავისებურად ამდიდრებს თეატრის საშემსრულებლო არსენალს, შეაქვს მასში ახალი პლასტიკური ხატები. ჩნდება ახალი აქტიორული სახეები, რეჟისორულად მკვეთრი, ვიზუალურად ეფექტური მეტაფორები. მათში ირეკლება კონცეფციური თეატრის თავისებურებანი.

სცენური მეტაფორული აზროვნება ახალი არ არის, მაგრამ ქართულ თეატრში ყველაზე დიდ წარმატება 70-იან წლებში აღწევს. იგი ბუნებრივი ნაწილია იმ ზოგადი პროცესებისა, რომელმაც ასე ნათლად წარმოა-

ჩინა მეტაფორის როლი პოეზიაში, კინემატოგრაფში, თეატრში, გლობალიზაცია ამ პროცესებისა მართლაც უჩივდევანოა. თითქმის ყველა შემოქმედი მოექცა მისა გავლენის სფეროში. იმდენად ამაღლა მეტაფორის კულტურა, რომ დღეს საშუალო ნიჭის რეჟისორებიც კი უფრო მდიდარ მეტაფორულ სახეებს ქმნიან, ვიდრე ეს იყო (30-40 წლებში) დიდ რეჟისორთა შემოქმედებაში. თეთი კ. მარჯანიშვილის „ოტელოს“ განთქმული მეტაფორა (მხრებგაშლილი იაგო სეავეითი რომ დააცხრება იტელოს), თითქმის ერთადერთია, დროს რომ შემორჩა. მეტაფორების „სიღარიბე“ სრულიადც არ ნიშნავდა რეჟისორული ფანტაზიის სიმწირეს. იმავე სურათს ვხედავთ პოეზიაშიც. დროის მიერ მოტანილ ცვლილებებს ისევე დრო წაიღებს. ანტიმეტაფორიზმის სიო ნელ-ნელა იწყებს ქროლვას, რა ძალას მიაღწევს იგი, მწელი სათქმელია, მაგრამ ის კი ცხადია, რომ მეტაფორულობით, სიმბოლოებით ვატაკებას თავის „აქილევსის ქუსლიც“ ახლავს. მას ზნორად დეკორის ფუნქციამდე დაჟუავს მსახიობი. მეტაფორა იღლფვა დიდ სცენურ ეფექტს, მაგრამ გვიჩვენებს სახის შექმნას არა პროცესს, არამედ შედეგს. მხოლოდ ის არის ღირებული, სადაც უცეო წარმოდგება აქტიორი, რეჟისორული ნააზრი მხოლოდ მსახიობის საშუალებით საგნობრივდება და მისივე გზით აღწევს აზრის ცხოველყოფილებას. სოხუმელთა „ნუ გეშინია, დედა“ ამ მხრივაც არის მნიშვნელოვანი. სცენური მეტაფორები, უციფორულობამდე დამკვებული პირობითობა, ლიტერატურული თეატრის პრინციპების გამოყენება, სიცრუობრიობა (რომელიც



სცენა სპექტაკლიდან „ნუ გეშინია, დედა“

ზოგჯერ „საერთო პლანში“ კარგავს ინდივიდს! ხელს არ უშლის თეატრს ნათლად გამოიკვეთოს თითოეული შემსრულებლის არტისტული სახე. სპექტაკლში ყოველ მათგანს აქვს ზუსტად განსაზღვრული მხატვრული ფუნქცია. პიესის პოეტური მელოდია შენივთებულა მძაფრ დრამატულ ინტონაციებთან, ენართული სცენები ქმნიან კონტრასტებს, სადაც უკეთ იკითხება ადამიანთა ხასიათების სხვადასხვაობა. მაგრამ რეჟისორი ამით არ ეკაყოფილება, უფრო სიღრმისეულ პლანებს ეძებს, უფრო მთავარსა და ზოგადას. იგი გვესაუბრება ადამიანის დანიშნულებაზე, მის საქვეყნო ვალზე, რაც საბოლოოდ ცხოვრებაში ადგილის პოვნის იდეით ფიქსირდება. ვ. შონიას ჭაყველა ზუსტად შეიციო თავისი მისია ამქვეყნად, იპოვა ადგილი ცხოვრებაში და იგი იწყებს იერიშს სხვათა წინააღმდეგ, რათა ისინიც გონს მოაგოს, გამოიყვანოს სულიერი მთვლემარებიდან. ვ. შონია მიზანდასახულად მოქმედებს ამ ამოცანის გადასაწყვეტად. ამასთანავე, მას აქვს შინაგანი გულწრფელობა და სწორედ ამით ახდენს ზემოქმედებას. არტისტული სიმართლის გრძობაა საწინააღმდეგო ანათების ჭაყველის შინაგან სამყაროს. შონიას გმირს აკლია სინამდვილისადმი მსუბუქი, იუმორისტული დამოკიდებულება, მაგრამ სცენური მომხიბვლელობით, სიხალისით, გულწრფელობით ხიბლავს მაყურებელს. მაყურებელს სჯერა შონია-ჭაყველის სიტყვისა და სიმართლისა. ამ დამაჯერებლობის შედეგად ირლვევა „პოეტური ღენდების“ წრე. მის წიაღში ჩნდებიან დაპირისპირებული ძალები, რომელთა შეჯახებასაც გარდუვალად მივყავართ ჭაყველის იდეის გამარჯვებამდე. კარგად არის შერჩეული „პოეტური ნატური“ სალონის სცენებში. მსახიობებს დ. ჭაიანს, ნ. ბეკუარს, დ. გაქეჩილაძეს მოაქმნილი აქვთ სახის ინდივიდუალური თავისებურებანი, ნიუანსები. დ. ჭაიანის ექსცენტრიულ, მსუყე ფერე-

ბით წარმოჩენილ გელას უპირისპირდება მისივე ჩხარტიშვილი. მკაფიო და მართალი სახეები შექმნეს მ. ჩუბინიძემ (ვანიჩა), ფ. შედანიამ (შურა), ნ. ქაროსანიძემ (ისიდორე) თ. ელერდაშვილმა (რუბენი). გულწრფელია ლ. პაპუაშვილის დადუნა, ლ. კუბრეიშვილის მზია, მხატვრული ანსამბლისა და მართალი სცენური ატმოსფეროს შექმნაში ერთობ მნიშვნელოვანია ლ. კალანდაძის, გ. სირაძის, თ. მილიანის, მ. ქარჩავას, ნ. წერეთლის, ლ. ლოგუას წვლილი. ცხადია, სხვადასხვა დონეზეა შესრულებული თითოეული სახე, მაგრამ პატარა ეპიზოდური სახეებიოაც გვაშანსოვრდებიან და იმ საერთო ატმოსფეროთიც, სპექტაკლში რომ არის შექმნილი. სპექტაკლს მხატვრული გულწრფელობა უდევს საფუძვლად და ამიტომ ფსიქოლოგიურად კარგად მოტივირდება გმირთა ქცევა. ემოციური დაძაბულობა ყველაზე უკეთ შეჩერბინას წერილის კითხვაში აღწევს. მსახიობი აზრიანად და ემოციურად კითხულობს მას. მსმენელების გაპოლირებული ყურადღება კიდევ უფრო აძლიერებს შთაბეჭდილებას. ერთობ დიდი პარტნიორის სიტყვის ყურადღებით მოსმენის ფაქტორი (რომელიც ჭართულ თეატრში ხშირად იგნორირებულა!) აქ ჩანს, რომ შონია-ჭაყველის სიტყვა იწვევს ახალგაზრდების ჩაფიქრებას, მათში ჩნდება სინანული, იღვიპებს კეთილი საწყისები და საბოლოოდ აქვე ისახება მათი გარდაქმნის პერსპექტივა. რეჟისორი და მსახიობი დიდი გულისყურით ავლენენ ამ ჩანაფიქრს. როგორც ეს, ისე სხვა სცენები ნათელიყოფენ, რომ თეატრს აქვს თავისი მოქალაქეობრივი პოზიცია, აქვს სათქმელი.


ი. კაკულიას სპექტაკლებში დიდი ფუნქცია ენიჭება



სცენური სივრცის პრობლემას, რეჟისორი თითქმის მთელ სცენას ამოშვლებს. იგი იაზრება, როგორც სცენოგრაფიული გადაწყვეტის ორგანული ნაწილი. სივრცის საკითხი უშუალოდ უკავშირდება რეჟისორის სტილს, მის მხატვრულ პოზიციას. რეჟისორი უთვოდ გრძნობს, რომ ამგვარი მასშტაბებშია განსაკუთრებულ აქტიურულ ნატურასაც მოითხოვს. სივრცის უკიდვრად ნაპირები ზოგჯერ აპატარაებს მსახიობს, კარგავს კონკრეტულ, ინდივიდუალურ ნიშნებს, და, რაც მთავარია, მწვდობდა მსახიობის თვალებიდან აზრის ამოკითხვა. იყარგება ნიუანსები, ეს ანელებს ფსიქოლოგიურ განწყობილებათა შექმნას, ინტიმის მოტბნას, რეჟისორები, რომლებიც აქედან ბევრს რასმეს შეგნებულად სწირავენ, „ვიზუალური მშენიერიების“, და ფართო სუნთქვის მიღწევაში პოულობენ კმაყოფილებას. სივრცის ესთეტიკური განცდა დაფუძნებულია ეფექტურ სურპრიზებზე, სახვით პლასტიკურ ხატებაზე, მყურებლის აღტაცებას რომ იწვევენ თავისი მოულოდნელობით, მეტაფორული ნაირსახეობით. სცენური სივრცის სხვადასხვა პლანებში მოქმედებენ ადამიანები (მსახიობები), რომლებიც თავიანთ პლასტიკური მოძრაობით, ხაზებით, საგნებით, კონტურებით ისე ლამაზად სჩანან, როგორც თვითმფრინავიდან ქალაქების, თუ მთისა და ზრების პერიპეტი. ასე მშენიერი სამზერია თავის მასშტაბებში თ. ჭილაძის „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“. რთული დრამატული აზროვნების პიესაში, სადაც ასე ბევრია აზრობრივი შრეები, ამოსაცნობი და ამოსაკითხი პლანები, რეჟისორი პოულობს მისთვის ახლობელსა

და გასაგებ მოტივებს. სპექტაკლი გულუხვად ემყარება როგორც დეკორატიულ (თ. ჰინე), ისე ქორეოგრაფიულ (ა. შალიაშვილი) და მუსიკალურ (ჯ. ჯანდიერი) საშუალებებს. აქ რიტმულია სიტუაციითა მონაცვლობა. მიღწეულია პოლიფონიურობა, მიხანსცენების სივრცობრივი გაშლა, ჯგუფების პლასტიკური გახვევა და კონტრასტული „ბორგვა“, რაც ანოს (ბ. დვალშვილი) დრამატული ხაზის გამაფრებას ემსახურება. სპექტაკლი თბილისშიც ახევენს. წარმოდგენაში ბევრი იყო თვითმიზნური, ბუნდოვანი, ზოგჯერ საერთო ფუსფუსსა და ზედმეტ მოძრაობებში იყარგებოდა ნაწარმოების ძირითადი ხაზი, სხვა ნაკლიც უხვად ჰქონდა. თეატრს ეყო შემოქმედებითი გამბედაობა, რათა კრიტიკულად გადაეხინჯა წარმოდგენა, დასვენები გაეკეთებინა გასტროლებიდან. სოხუმში ენახეთ სპექტაკლის ახალი რედაქცია, რომელიც თავისი სიცხადით, ლაკონიურობით, რეჟისორული და აქტიორული (ს. პაჭკორია, ლ. პაპუაშვილი, ლ. მიქაშვილი და სხვ). შესრულებით ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებს. წარმოდგენის მონაწილეებს, პირველ რიგში კი მთავარ შემსრულებლებს (ბ. დვალშვილს და ს. პაჭკორიას) ზუსტად ესმით რეჟისორის ჩანაფიქრი, პოულობენ მის გამობატვის გზებს, აღწევენ შედეგს, რომელსაც სპექტაკლისათვის წარმატება მოაქვს. სცენოგრაფიულად კარგად არის გააზრებული (მხატვარი თ. ჰინე). საერთოდაც, თეატრის სცენოგრაფია იმ ძიებათა სფეროშია, თეატრის რეჟისორი რომ ადგას. იგრძნობა მათი თანამიერება და თანამდგომლობა. წარმოდგენა მეტს მოიგებდა, რომ კიდევ უფრო განთავი-

სცენა სპექტაკლიდან „კავკასიაში“





სენა სპექტაკლიდან „როლი დამწევა“
მსახიობი გოგონასათვის“

სუფლდეს ზედმეტობისაგან (ნიღბების ტაქტოლოგია). საერთოდ, სპექტაკლის ახალ რედაქციას ნამდვილი წარმატება ხვდა!

სოხუმის თეატრის რეპერტუარშია ლ. ტოლსტოის „კავკასიაში“ (ინსტ. ი. კაკელიასი). სტილისტური თვალსაზრისით წარმოდგენა თეატრის ამყამინდელ ჰიებათა რეალშია მოქცეული. აქაც ფართო სივრცობრივი გადაწყვეტა მოვლენებისა, მიზანსცენების მასშტაბურობა და მეტაფორულობა. დეკორატიული დანადგარი (შ. ხუციშვილი) თითქოს უფრო კონკრეტულია და სამოქმედოდ მოსაზღვრულია სცენის ცენტრში, მაგრამ მისი შემოგარენი მხატვრულ გავრძელებას პოულობენ კულისებისკენ. მოქმედი გმირებიც ცდილობენ ზუსტად აითვისონ მათთვის მიჩენილი გარემო. რეჟისორი იძლევა თოკების ვარიაციულ გადაწყვეტას. თოკი რამდენჯერმე იცვლის ფუნქციას, აზრს (ასევეა სპექტაკლშიც „როლი დამწევაში მსახიობი გოგონასათვის“), ქმნის სხვადასხვა მიზანსცენას, თუმცა, ტაქტოლოგიურობა და ციტირება წარმოშობს ახალ კომბინაციებს, ჩნდება ახალი რაკურსები. ტოლსტოის ქმნილებიდან სპექტაკლში წარმოჩე-

ნილია ცალკეული სცენები და ხასიათები. ოლენინის რომანტიკულ და პოეტურად საინტერესო სახეს ქმნის ლ. შონია. მეტწილად იგი უკეთ ჩანს ლირიკულ სცენებში, ნაზსა და თბილ ურთიერთობებში. ნამდვილ შემოქმედებით წარმატებას აღწევს ლუკას როლში ვ. არდვლიანი. ეს არის სისხლითა და ხორციით სავსე ენერგიული, მილიანი, ვნებიანი სახე. ლუკაში არის რაღაც შინაგანი ძალა და შთის კაცის სტიქიური, შეამბოხე სული. იგი ნამდვილი შეილია ბუნებისა თავისი უშუალოებით, წინააღმდეგობრივობით, განცდის სიძლიერით. მასში უცნაურად ერწყმის ურთიერთის სინაზე და უხეშობა, დაუნდობლობა. ტოლსტოი ერთი პატარა დეტალით ზუსტად ხატავს ლუკას სახეს: „ლუკაშკა წამოდგა და დაჭრილ ხოხობს შეხედა, ლამაზად აჭრელეულ თავზე ხელი დაუსვა, შეშინებული მამალი მისკენ იწვილიდა თავს, თვალბს ლულავდა, ლუკაშკამ ხელში აიყვანა, მოეფერა სილამაზეს და, „ხანჯლის ტარქაშიდან პაწია დანა ამოიღო და მამალს ყელში გამოუსვა“. ეს არის ცხოვრება და სინამდვილე თავისი სირთულით და წინააღმდეგობრივობით. აქ ვერაფერს ვერ შეცვლი, ლუკა ამ ცხოვრების

ღვიძლი შვილია, მისი ძალაა. ამგვარად ასოცირდება მსახიობ ვ. არღვლიანის მიერ შესრულებული სახე და ეს არის მისი გამარჯვებაც. აქტიურულად ოსტატურად არის გადაწყვეტილი ეროშას (მ. ჩუბინიძე) სახე, გამოცილი ოსტატს მოძებნილი აქვს ზუსტი მხატვრული ფორმა. მისი ეროშა რთული, შინაგანად გაორებული ცხოვრების სირღმევიდან წამოზრდილი მოხუცია. გაცივებთ ეროშა-ჩუბინიძის ფრაზის ძალა და სიბოზ, ხასიათის სირბილე და გაუტყნობა. ამ როლის შესრულებაში ჩანს, რომ სცენაზე სიბერე არ არის ასაკობრივი კატეგორია. შემოქმედებითი სიბერე ყველა ასაკში შეიძლება და ახალგაზრდობაც ასევე ყველა ასაკშია შესაძლებელი. მ. ჩუბინიძის სახე ერთსა და იმავე დროს, ბრწუნულია და ახალგაზრდულად ენერგიულიც. კარგად არის მოფიქრებული ბელეცის (დ. ჯაიანი) დაუდეგარი, მოძრავი, უღარდელი ბუნება, პოეტური დრამატუზმი მსკვალავს ზ. დვალშვილს მარიკას, მხატვრული სიმართლით არის შესრულებული დ. გაეჩილაძის (მსტოვარი), ნ. ბექაურის (ნაზარკა), ნ. ინსარიძის (უსტანკა), ს. პაკობიას (მოკლული ჩეჩნის ძმა) სახეები. წარმოდგენაში არის სადავო და საკამათო. არის თვითმიზნური სურათები, გამეორებები. გაზვიადებულია

ოლენინის დაკარგვის სცენა. ფრაგმენტული მოკლეები სქემებად რჩება, რაკი შინაგან განვითარებულ პოეზიურ. მეტი სიციხედ იყო საჭირო რეჟისურის პოზიციამო. იგი ნათლად არ იკითხება. მაგრამ ლ. ტოლსტოის ნაწარმოებზე თეატრის მუშაობას მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს. დიდი რეალისტი თავის კეთილკვალს სტოვეებს თეატრში.

სოხუმის ქართულ თეატრს ბევრი პრობლემა აქვს გადასაწყვეტი. საკუთარი ჰერის პრობლემიდან დაწყებული — საქეტაკლების ტექნიკური ორგანიზაციით დამთავრებული. თეატრის საფიქრალია რეპერტუარიც, მსახიობთა ზრდისა და დაოსტატების პრობლემაც, ახალი კადრების, დასის დატვირთვის, მაყურებლისა თუ სხვა ორგანიზაციული და შემოქმედებითი საკითხები. თითოეულს პასუხი უნდა გაეცეს. თეატრი ეძებს გზებს, რათა უფეთ წარმოჩნდეს მისი მხატვრული პოტენციალი. თეატრს მიღწეული აქვს ერთი და უმთავრესი: მიღწეულია თანამოაზრეობა, ყველანი ერთად არიან შეტარული რწმენით, თავიანთი საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით, საკუთარი მისით ქართული თეატრის ისტორიით.

სოხუმის ქართული თეატრი ძიებთათა ახალ მიჯნაზე, ახალ წარმატებათა იმედს გვაძლევს მისი მდიდარი შემოქმედებითი პოტენცია.

**სსრ კავშირის უმაღლესი სახალხო კრავიდიუმის
გრძანებულება**

**ამხ. რ. გ. ჩხიკავასთავის „სსრ კავშირის
სახალხო არტისტის“ საპატიო წოდების
მიენიჭების შესახებ.**

საპატიო თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მსახიობს ამხ. რამაზ გრგოლის მე ჩხიკავას მიენიჭოს „სსრ კავშირის სახალხო არტისტის“ საპატიო წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე ლ. ბრეშნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი გ. მიორბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1981 წლის 27 ნოემბერი.



შოსტაკოვიჩი და ქართული მუსიკალური კულტურა

(დაბადებიდან 75 წლისთავის გამო)

თამარ შაკიაშვილი

დმიტრი შოსტაკოვიჩი და ქართული მუსიკალური კულტურა ძალზე ფართო და მრავალფეროვანი თემაა. იგი ნათელს ჰფენს, ერთის მხრივ, იმ მაღალ მოქალაქეობრივ პოზიციას, შოსტაკოვიჩი რომ იჩენდა ეროვნული საკომპოზიტორო სკოლების მიმართ, ხოლო, მეორეს მხრივ, იმ უზარმაზარ შემოქმედებით ზეგავლენას, რომელსაც იგი მრავალეროვანი საბჭოთა მუსიკის განვითარების პროცესებზე ახდენდა. ამდენად, ეს თემა აძლიერებს შოსტაკოვიჩის შემოქმედებით ბიოგრაფიასაც და თანამედროვე ქართული მუსიკის ისტორიასაც.

საქართველოში დმიტრი შოსტაკოვიჩი პირველად ჩამოვიდა 1931 წლის შემოდგომაზე. იგი ისვენებდა გუდაუთსა და ბათუმში, მოინახულა ჩვენი დედაქალაქიც. 1934 წლის ზაფხულში კი იგი საგასტროლოდ ესტუმრა ბათუმს. სამწუხაროა, რომ ამ აქტების ირგვლივ არ მოგვეპოვება სხვა უფრო მნიშვნელოვანი ცნობები.

1937 წლის თებერვალში თბილისში გაიმართა შოსტაკოვიჩის საავტორო კონცერტი. მან, დირიჟორ ნ. რაბინოვიჩთან და საქართველოს ფილარმონიის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, შეასრულა საფორტეპიანო კონცერტი № 1, რომელსაც წილად ზედა ძალზე დიდი წარმატება.

1952 წლის გაზაფხულზე (1-12 მარტი) დ. შოსტაკოვიჩი, კომიტასის სახელობის კვარტეტთან ერთად, საკონცერტო ტურნეით ეწვია ამერკავკასიის რესპუბლიკებს, საავტორო კონცერტები გამართა თბილისში, ბაქოში და ერევანში.

ამავე წლის ნოემბერში, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის მოწვევით, დ. შოსტაკოვიჩი კვლავ ეწვია თბილისს, სადაც ქართველ კომპოზიტორთა მეორე შემოქმედებითი პლენუმი ტარდებოდა. ეს პლენუმი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა — შესრულდა ოთხი სიმფონიური და ორი კამერული კონცერტი, ერთი საღამო სტუდენტ-კომპოზიტორთა შემოქმედებას დაეთმო, ერთიც — სასულე ორკესტრისათვის შექმნილ ნაწარმოებებს.

კომპოზიტორი ა. შავერზაშვილი თავის მოგონებებში აღნიშნავს, რომ დ. შოსტაკოვიჩი დაესწრო უკლებლივ ყველა კონცერტს და დიდი გულსწყურით მოისმინა თითოეული ნაწარმოები. შემდეგ კი ქართველ კოლეგებს პირუთენელად გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებები, მოსაზრებანი, კრიტიკული შენიშვნები.

საქართველოს მუსიკალური ცხოვრების ამ მნიშვნელოვან მოვლენას დ. შოსტაკოვიჩი პრესაშიც გამოეხმა-

ურა. გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ ფურცლებზე დაიბეჭდა მისი წერილი სათაურით „შექმნათ საბჭოთა ეპოქის ღირსეული ნაწარმოებები“, სადაც იგი წერდა:

„საუფეთესო შთაბეჭდილება მოახდინა ა. ჩიმაჯაიის კანტატამ „ქართლის გულმა“. ამ ნაწარმოებში ტლანტი პარადირი შადრეანეით მოსხვევს. მას შეუწელებელი ინტერესით ისმენ. მსმენელის აღფრთოვანება გამოძახველი და კოლორიტული მელოდური სახეები, მშვენიერი პარმონია, გუნდისა და ორკესტრის მარჯვე და ორიგინალური გამოყენება, ღრმა შინაარსი, იდეურობა.

კამერული ნაწარმოებიდან, პირველ რიგში დავასახელებ ა. შავერზაშვილის საფორტეპიანო ტრიოს, რომლის მუსიკა აღბეჭდვითა ემოციურობით, დინამიკურობით, სიმშვენივით. ალ. შავერზაშვილი დუბირისპირად ტრადიციას — ნაღვლიანი, მელანქოლიური ტრიოს ნაკვალად დაწერა ნათელი, ოპტიმისტური ნაწარმოები, რომელიც გებმლავს ცხოველყოფილობით, შემოქმედებითი სიმწიფით.

დათვალიერებაზე ა. ბალანაივაემ წარმოადგინა ნორჩებისადმი მიძღვნილი მესამე საფორტეპიანო კონცერტი, რომლის დამახასიათებელ თვისებებებსა წარმოადგენს ის, რომ სოლო და საორკესტრო პარტები ითვალისწინებენ მობარდთა საშემოტულებლო შესაძლებლობებს. კონცერტი ოსტატურად, ხატოვნად ვადმოსკემს ბავშვების მდიდარ სამყაროს და როგორც კეშპირიკად მაღალმხატვრული ნაწარმოები სანტერესოა არა მარტო მისწავლეთათვის, არამედ პროფესიონალი მუსიკოსებისთვისაც“.

ქართული კომპოზიტორთა ნაწარმოებების ასეთი მაღალი შეფასება სასებითი ობიექტური იყო, რაც იქიანდა ჩანს, რომ ამავე წერილში დ. შოსტაკოვიჩმა მთელი რიგი ნაწარმოებების მიმართ გამოთქვა კრიტიკული მოსაზრებები.

გაზეთ „სოლოდოი სტალინის“ ფურცლებზე დ. შოსტაკოვიჩი წერდა: „ამ წელს უკვე მეორედ მომიხდა ჩამოსვლა თბილისში — საბჭოთა საქართველოს უმშვენიერეს დედაქალაქში. იმედები გამომართლდა. დათვალიერებაზე შესრულდა მრავალი შესანიშნავი, პროფესიული ოსტატობით დაწერილი ნაწარმოები, რომელთა უმეტესობა შექმნილია ნიჭიერი ახალგაზრდა ქართველი კომპოზიტორების მიერ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნის არც ერთ რესპუბლიკაში არ არის ახალგაზრდა შემოქმედებითი ძალების ისეთი მოზღვაება, როგორც საქართველოში“.

1953 წელს ქართველმა საზოგადოებამ ფართოდ აღნიშნა უხუცესი კომპოზიტორის დიმიტრი არაყიშვილის 80 წლისთავი. ამ თარიღს გამოეხმაურა დ. შოსტაკოვიჩი, რომელმაც ოუბლარს უარღესად გულთბილი მილოცვა გამოუგზავნა.

„გულითადად ვესალმები დიმიტრი არაყიშვილს და საბჭოთა ქართველთა ხელოვნების ყველა მუშაკთან ერთად ვხარბობ, ვეპაობ მისი შესანიშნავი შემოქმედებითი წარმატებებით.

დ. ე. არაყიშვილის შემოქმედება მუდამ იქცევა ჩემს ყურადღებას. უღრმესი პატრიოსტის გრძობის აღმრავს მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა, უღრმესად ფართო საზოგადოებრივი ინტერესები. დღეს ჩვენ ოუბლარს ვუხვდებით კომპოზიტორს, ფოლკლორისტს, პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს, დუცხრომლად რომ მუშაობს მუსიკალური ხელოვნების ყოველ სფეროში და ქმნის მკერფას, კეშპირიკად მხატვრულ საუფესს. ინტერესების ესოდენ ფართო დიაპაზონი ახსიათებდათ რუს კლასიკოს-კომპოზიტორებს. მეშვედრებოთი მიღებულ ამ შესანიშნავ თვისებას სათუთად იკავს დ. არაყიშვილი. ამით იგი მავალითს აღლევს მრავალსა და მრავალ საბჭოთა მოღვაწეს“.

მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე დ. არაყიშვილი მკიდროდ იყო და არის დავეშობიებული ქართველ ხალხთან. იგი კარვად იცნობს მის ცხოვრებას, მხატვრულ ინტერესებს, გემოვნებას, მოთხოვნალებებს, რაც ხელს უწყობს აქტუალური ცხოვრებისეული პრობლემების წამოჭრაში, ჩინებული ნაწარმოებების შექმნაში, ნაწარმოებებისა, რომლებიც შესულია საბჭოთა მუსიკალური ეულტრის ოქრის ფონში, ისევე როგორც ქართული ხალხური მუსიკისადმი მიძღვნილი მისი შესანიშნავი გამოკვლევები.

დ. ე. არაყიშვილს — ქართული პროფესიული მუსიკის ერთ-ერთ უმეტემდებელს, მოწინავე ხელოვანს, კლასიკური მუსიკის საუფეთესო ტრადიციების დამკველს მთელი გულით ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და ახალ შემოქმედებით წარმატებებს“.

1961 წელს დ. შოსტაკოვიჩი საქართველოდ ჩამოვიდა წყალტუბოში. ამ დროისათვის მისი ჯანმრთელობა უკვე საკმაოდ შერყეული იყო. მთუხედავად ამისა, დ. შოსტაკოვიჩი მაინც ესტუმრა თბილისს. იგი არ შეუშინდა უჩვეულო სიტყვს და რამდენიმე დღის განმავლობაში გულმოდგინეით ისმენდა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მორიგ შემოქმედებით პლენუმზე შესრულებული ნაწარმოების ჩანაწერებს. ამისთან ერთად, თბილისის საოპერო თეატრში მან მოისმინა შ. შველიძის „დილისტრის მარჯვენა“, რომელსაც აფორთოვანებული რეცენზია უძღვნა: „შ. შველიძე — ჩემი საყვარელი კომპოზიტორია. მის შემოქმედებას განსაკუთრებული ყურადღებით ვადევნებ თვალს. ძალზე მინტერესებდა მისი ოპერის მოსმენა. სიაოვნებით მოვახსენებთ, რომ ჩემი მოლოდინის სავსებით გამართლდა. „დილისტრის მარჯვენა“ საბჭოთა საოპერო დრამატურგიის ერთ-ერთი საუკეთესო ქმნილებაა. თვითმყოფადობითაა ეთბუქილი — ამ ოპერის მუსიკალური ენა, გამსჭვალული ხალხური ინტონაციებით, შესანიშნავია მელოდური რეიტრატევი, ბრწყინვალეა გუნდები, ყოველკვირ ეს პარტიტურას ანიჭებს მკავიობას, სიღრმეს, ხატოვნებას... ეს მალაონიკური ნაწარმოები უნდა ითარგმნოს რუსულ ენაზე და დაიდგას მსოფიოსა და ლენინგრადის სცენებზე“.

დ. შოსტაკოვიჩი დაესწრო თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საკომპოზიტორო ფაკულტეტის სახელ-

მწიფო გამოცდებსაც, დიდი ინტერესით გაცნო ახალ-გაზრდების შემოქმედებას.

„სუსტი მუსიკა, მე აქ საერთოდ არ მომისმენია — წერდა დ. შოსტაკოვიჩი ვაზეთ „ეჩინერი ტბილისს“ ფურც-

დამიტრი შოსტაკოვიჩი



ლებზე — ოსტატობა, მუსიკალური ენის ღრმადობრივად-ლი თვისებები და სიღამაზე ახასიათებს ამ ნაწარმს მუსიკალური უმეტესობას.

გღონა ამბობდა, რომ კომპოზიტორი ხალხის მიერ შექმნილი მუსიკის არანეირებას ახდენსო. მიმართა, რომ ქართული კომპოზიტორები არანეირების ხელოვნებას უაღრესად ნიჭირად, ფაქიზად, ოსტატურად ფლობენ“.

როგორც ზემოთ თქმულიდან ჩანს, დ. შოსტაკოვიჩი დიდი გულსყურობით ადევნებდა თვალყურს ქართულ მუსიკას, რომლისადმი ინტერესი მას გაუჩნდა გერ კიდევ 20-იან წლებში, როცა ლენინგრადში გაიწიო და დაუმეგობრდა ანდრია ბალანცოვს — ქართული საბჭოთა მუსიკის ამ ერთ-ერთ ფუფუნდებელს.

დ. შოსტაკოვიჩისა და ა. ბალანჩოვიჩის აკავშირებად მრავალწლიანი, უაღრესად საინტერესო, კუშიარიტად შემოქმედებითი ურთიერთობა, რაზედაც მეტყველებს მრავალი საგულისხმო ფაქტა.

ა. ბალანჩოვიჩამ მხარში ეგვა დ. შოსტაკოვიჩის მისი შემოქმედებითი ცხოვრების ყველაზე რთულ მომენტებში. ამის საილუსტრაციოდ მოვიყენო ერთ ეპიზოდს მისივე მოგონებიდან: „ერთხელ, დ. შოსტაკოვიჩი თბილისში მესტუმრა რამდენიმე დღით და დამკრა ახლად-დამთავრებული „კატერინა იზმოდლვას“ („ლდი მაკბეტი“) პირველი აქტი, მაშინ ვერ შექელი აღტაცების გამოხატვა, მაგრამ სულ მალე საშუალება მომეცა დაბეჯითებით და ხმაშაღლა გამოეუთქვა ჩემი აზრი ამ ოპერია პრინციპულ სახალეებზე. მის მალე მიღწევებზე. ეს მოხდა თბილისში 1936 წელს, როცა პრესაში გამოქვეყნდა სტატია აბდაუბდა მუსიკის მაგიერ“.

ეს არ იყო არც გიბობა და არც მახეგრბლზე წასვლა. უბრალოდ მსურდა ამ უდიდესი ხელოვანისადმი დამემტკიცებინა ჩემი სიყვარული და ერთგულება“.

ამ ფაქტს დ. შოსტაკოვიჩი გამოეხმაურა უაღრესად საინტერესო წერილით, რომელიც დათარიღებულია 1936 წლის 12 აპრილით.

„მეირფასო ანდრია!

შენ, ალბათ, გაუზრდლობაში მითელი, ამდენ ხანს რომ უმასუხოდ დაეტოვე შენი წერილი. ბეერჯერ მსურდა მომეწერა, მაგრამ არაფერი გამოიშლიდა. შენმა წერილობა ძალზე ამაღლევა. მხოლოდ ორ სიტყვს გეტყვი: „მადლობელი ვაი“. ამ ხნის მანძილზე ბეერი რამ გადავიტანე, გადავსინჯე, ბეერი ვიფიქრე. ბოლოს და ბოლოს ასეთ დასკვნაზე მივედი: „ლდი მაკბეტი“, მრავალი ნაყლის მიუხედავად, ჩემთვის წარმოადგენს ისეთ ნაწარმოებს, რომელსაც ყელს ვერ გამოვჭრი. შესაძლოა გცდებდი, შესაძლოა, საამისოდ არც ვეჯეკობა მყოფნის, თუმცა, ჩემის აზრით, ვეჯეკობას მოითხოვს არა მარტო საკუთარ ქმნილებათა განადგურება, არამედ მათი დაცვაიც, რაც ამგერად უაზროა და შეუძლებელი. ამიტომაც არც არაფერს მოვიპოქმედებ. მიუხედავად ამისა, ისეც ბეერს, ჭოტად ვფიქრობ ყოველზე იმაზე, რაც მოხდა, მთავარია სიმართლე. ნეტა რამდენ რამეზე და რამდენ ხანა მეუოფა იგი? და თუ როდესმე გადაუდებები „ლდი მაკბეტს“, იცოდ, რომ ამასაც გავაეეთებ აპროცენტბიანი სიმართლით. მაგრამ ეს არც თუ ისე მალე მოხდება, ალბათ, არა უადრეს 5-6 წლისა. მე ხომ გონებაშიმე ვა: და შემოქმედებაში ძალზე პატიოსანი.

ორჯერ მოვიმინე შენი კონცერტი — ნიჭიერი და თვითმყოფადი ნაწარმოები. სულითა და გულით გილოცავ. მოუთმენლად ველი ორკესტრთან ერთად მის შესრულებას.

ვაძთავრებ მეოთხე სიმფონიას. მუსიკა შექმნილია. ახლა ვიორკესტრზე. ვფიქრობ ერთ კვირაში დავამთავრებ. ძალიან მინდა შენი ნახვა და საუბარი მომხდარი ამებუბის ირგვლივ.

მაგრად გვხვევი

შენი დ. შოსტაკოვიჩი“.

როგორც ამ წერილიდან ჩანს, დ. შოსტაკოვიჩის ყურადღების ცენტრში იმთავითვე იმყოფებოდა ა. ბალანჩევიჩის შემოქმედება. ამას გვიდასტურებს შოსტაკოვიჩის წერილიც „ქართული მუსიკოსები“, რომელიც დაიწერა 1944 წელს მოსკოვში გამართული ქართული მუსიკის დღეების აღსანიშნავად. ამ დღეებზე უდიდეს წარმატებით აედერდა ა. ბალანჩევიჩის პირველი სიმფონია — ქართული საბჭოთა მუსიკის საეტაპო ნაწარმოები. ამ წერილში დ. შოსტაკოვიჩი ხაზგასმით აღნიშნავდა: „ჩვენს საკონცერტო ორგანიზაციები, მუსიკალური გამომცემლობები, თვითფული ჩვენგანი სათანადო ყურადღებას არ აქცევენ იმ მიღწევებს, რომლებსაც ადგილი აქვთ მოძემ რესპუბლიკების კულტურულ ცხოვრებაში. ამის გამო მოსკოველი და ლენინგრადელი მუსიკოსები არ არიან საქმის კურსში, მათ არ აციან თუ რას აკეთებდა ა. ბალანჩევიჩი ხალხთა მეთების გულის“ შემდეგ. მით უფრო სასიხარულოა და მნიშვნელოვანი მისი სიმფონიის შესრულება, სიმფონიისა, რომელიც უღერესად საინტერესოდაა ჩაფიქრებული და ხორცშესხმული...“

ა. ბალანჩევიჩს, როგორც კომპოზიტორს, დიდი ხანია ეცნობ. უკვე მის ადრინდელ, დიდი ხნის წინ დაწერილ კონცერტს (ლაპარაკია ა. ბალანჩევიჩის I სიმფონიის კონცერტზე — თ. შ.) სერიოზულ ხარვეზებთან ერთად იყო ფრად საინტერესო ახრი, რომელიც ვაიოლდებით ყურადღებით მოპყრობოდა მის შემოქმედებას... ქართული მუსიკის დღეებზე შესრულებული ა. ბალანჩევიჩის სიმფონია, ჩემის აზრით, წარსილადგენს ბოლო წლების საბჭოთა მუსიკის საუკეთესო სიახლეს. ეს საინტერესო და შინაარსიანი თხზულება მაღალ ტექნიკურ დონეზე დგას. კომპოზიტორი შესანიშნავად ებრძვის ფორმას, ინსტრუმენტობას, ნამდვილი სიმფონისტისათვის დამახასიათებელ გამომსახველობით სთავალებათა მთელ არსებას...“

მისასაღმებელია მოსკოვისა და ლენინგრადის ფილარმონიების ინიციატივა, რომელმაც ქართული მუსიკის მოსმენის საშუალება მოგვცა. ამ კონცერტებით გამოწვეული ინტერესმა კიდევ ერთხელ დავაარწმუნა მოძემ რესპუბლიკების კომპოზიტორთა ახალი ნაწარმოებების შესრულების აუცილებლობაში“.

დ. შოსტაკოვიჩი რომ დიდ მხრუნველობას და ყურადღებას იჩენდა ეროვნული საკომპოზიტორთა სკოლების მიმართ, ასევე კარდა ჩანს ნარკვევიდანაც „ოსტატობა და ხელოსნობა“, სადაც იგი მწკავედ აყენებდა მოძემ რესპუბლიკების კომპოზიტორთა შემოქმედების პროვანდის ამოცანას.



დმიტრი შოსტაკოვიჩი და ანანია ზაკარია

„სამწუხაროდ, ჩვენ ნაკლებ ყურადღებას ვუთმობთ მოძემ რესპუბლიკების ავტორთა შემოქმედების პროვანდის, მაშინ, როდესაც შემოქმედებით ასპარეზზე დაწინაურდნენ ნიჭიერი, პროფესიულად მომზადებული კომპოზიტორთა მრავალრიგობა კადრები... ვავისენოთ, თუნდაც ამიერკავკასია, სადაც მოღვაწეობდნენ ყ. ყარაევი, ამიროვი, ჰაქიბეოვი, გავიცი, ბაბაჯანიანი, არუთინიანი, ბალანჩევიჩი, შველიძე, კილაძე, ლალიძე, მაკავარიანი, თაქაიჭვილი, ცინცაძე, შვეერზაშვილი — ეს რეალი კომპოზიტორები არიან, რომელთა მუსიკა ვაკილებით უფრო ხშირად უნდა ეტრდეს საკავშირო სკონცერტო ესტრადაზე“.

დ. შოსტაკოვიჩი შედეგშიც დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს სხვადასხვა თაობის ქართველი კომპოზიტორების — ო. თაქაიჭვილი, რ. ლალიძე, ა. მაკავარიანი, ს. ცინცაძე, ბ. კვერნაძე, ვ. ყანჩელი, ს. ნსიძიძე, ვ. აზარაშვილი და სხვათა შემოქმედებით მოღვაწეობას. ბუნებრივია, რომ თითოეული კომპოზიტორი დ. შოსტაკოვიჩის აზრსა და შეხედულებებს გადაწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა.

ქართულ მუსიკაზე შოსტაკოვიჩის მძლავრი შემოქმედებითი ინდივიდუალობის გავლენა თავს იჩენს 40-იანი წლებიდან. ეს ელენდება სხვადასხვა თაობის ქართველი კომპოზიტორთა ნაწარმოებებში, მუსიკალური შემოქმედების ყველა ენარში, რომლებშიც გამოყენებულია დ. შოსტაკოვიჩის სტილისტურ-დრამატურული, კლიტონალური, პოლიფონური თუ ინტონაციური აზროვნების ელემენტები, ცალკეული ხებზები.

ქართული პროფესიული მუსიკის გამდიდრება შოსტაკოვიჩის შემოქმედებითი მიწვევებით, როგორც წესი, ატარებს განხილავად ხასიათს. არ უშლის არც ერთორისეული ინდივიდუალობისა და არც ეროვნული მუსიკალური სტილის თავისუფლებათა გამომავლენებას. ამის მოწმობს გამოჩენილი კომპოზიტორების ა. ბალანჩევიჩის, შ. შველიძის, ა. მაკავარიანის, ს. ცინცაძისა და სხვათა შემოქმედება.

პირველი დიდი ფორმის ნაწარმოები, რომელიც იგონება შოსტაკოვიჩის შემოქმედების ზეგავლენა, ა. ბალანჩევიჩის პირველი სიმფონია (1944 წ.) იგი უკვე მორდება შოსტაკოვიჩის V და VII სიმფონიებს როგორც



იდეურ-თემატური და კომპოზიციური პრინციპებით, ისე ცალკეული სტილისტური თავისებურებებითაც.

მ. შვეკლიძის სიმფონიურ პოემებში „ზვიადღური“ და „მინდია“, IV სიმფონიაში და სხვა ნაწარმოებებში ვხვდებით შოსტაკოვიჩის კლოგებრივი აზროვნების თავისებურებებს, ცალკეულ სარაკსტრო ზერებს, ფაქტურის ფორმირების პრინციპებს. მტრის შემოსევის ეპიზოდს „შოსტაკოვიჩის VII სიმფონიური უკავშირდება პოემა „მინდიას“ სიუჟეტურად ანალოგიური ეპიზოდი.

შოსტაკოვიჩის სტილისტური ელემენტების თავისებური გააზრება ჩანს ალ. მაკავარიანის სავიოლინო კონცერტში, ეოკალურ-სიმფონიურ პოემაში „გმირის სიკვდილზე“, ორატორიაში „ჩემი სამშობლოს დეა“.

ს. ცინცაძის კვარტეტებში (განსაკუთრებით კი V კვარტეტთან) აშკარად იგრძნობა სახალხოე შოსტაკოვიჩის ესთეტიკასთან, რაც ვინდებდა საკვარტეტო ჟანრის სიმფონიზაციის ტენდენციას. ფაქტურის პოლიფონიკაში, სახეთა დრამატული დაპირისპირების სიმწვევაში.

60-70-იან წლებში კიდევ უფრო იზრდება და გაფართოვდა დიდი კომპოზიტორის ზეგავლენის ძალა. შოსტაკოვიჩის „გრავეიტაციულ ველში“ მიხედვლილია ყველა ის კომპოზიტორი, ვინც მოღაწევობს სიმფონიური და ინსტრუმენტული მუსიკის სფეროში. პირველ რიგში, ეს ეხებათ თანამედროვე ქართველ სიმფონისტებს ს. ნასიძესა და გ. ყანჩელს, რომლებიც ისტაბურად იყვნენ შოსტაკოვიჩის დრამატურგულსა და კონსტრუქციულ პრინციპებს, ამასვე მეტყველებს მათ სიმფონიებში ინტექტუალური საწყისის წაშლივა, სარაკსტრო ტემპრებისათვის სემანტიკური ფუნქციის დასარება, ფილოსოფიური და გროტესკულ-პაროდული ეპიზოდების კონტრასტული დაპირისპირება.

საქართველოში დიმიტრი შოსტაკოვიჩის ნაწარმოებთა შესრულების ისტორია სათავეს იღებს 1937 წლიდან, როცა თბილისში მისი შესრულებით აჯღერდა I საფორტეპიანო კონცერტი. დღეს კი უკვე თამაშად შეიძლება ლაპარაკი შოსტაკოვიჩის შემოქმედების მდიდარ საშემსრულებლო ტრადიციებზე. თბილისში შესრულდა თითქმის ყველა მისი სიმფონია, ინსტრუმენტული კონცერტები, კვარტეტები, სხვა ჟანრის ნაწარმოებები. 1960 წელს ქართულ ენაზე აჯღერდა შოსტაკოვიჩის ეოკალური ციკლი „ებრაული პოეზიიდან“. ერთი სიტყვით, შოსტაკოვიჩის მუსიკას საქართველოში საინტერესო ინტერპრეტაციები გამოუჩნდნენ. ქართველ მსმენელთა შორის დიდი ინტერესი გამოიწვია შოსტაკოვიჩის ოპერა „ცხვარი“, რომელიც ჩვენს დედაქალაქში წარმოდგინა „სოხოვის კამერულმა მუსიკალურმა თეატრმა“ გამოჩენილი რეჟისორის ბ. პოკროვსკის ხელმძღვანელობით.

საბჭოთა კავშირში და სახლვატარეთ დიდი წარმატებით ასრულებს შოსტაკოვიჩის კვარტეტებს საქართველოს სახელმწიფო და მსახურებელი სიმებიანი კვარტეტი, შოსტაკოვიჩის ნაწარმოებები ამშვენებენ სახელოვანი პიანისტის ე. ვირსალაძის რეპერტუარს. განსაკუთრებით აღსანიშნავია Des-rur პრელუდისა და ფუგის ვირსალაძისეული ინტერპრეტაცია. ექსპრესიითა და ტემპერამენტით ასრულებს შოსტაკოვიჩის სავიოლინო

კონცერტს ლ. ისაკაძე, პირველ საფორტეპიანო კონცერტს — მ. დიაჯაშვილი. მნიშვნელოვანი ავტორიტეტითა შოსტაკოვიჩის ორივე სავიოლინო კონცერტს ე. ისაკაძის რეპერტუარში. შოსტაკოვიჩის თითქმის ყველა სიმფონია აქვს დარული საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრს. შოსტაკოვიჩის მუსიკის ქართველ ინტერპრეტატორთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია დიმიტრი გ. კახიძე, სხვადასხვა დროს შოსტაკოვიჩის სიმფონიებს დირიჟორობდნენ ო. დიმიტრაძე, გრიგოლ და ლელ კიკაძეები, შ. ახშიაფარაშვილი, გ. გოციელი, რ. ტაყაიძე, გ. ბუციორიძე.

დიდი კომპოზიტორის სსოენს მიეძღვნა ა. შავერზაშვილის „ქაშერული სიმფონია“, რ. გაბიჯაძის „სიმფონია“, შ. შულაქაძის „ქაშერული სიმფონია“, ს. ცინცაძის IX კვარტეტი, რომელშიც მონაგრამის პრინციპზე აგებულ მთავარ თემას საფუძვლად უდევს დ. შოსტაკოვიჩის ინიციალები, სერკოში კი გამოყენებულია შოსტაკოვიჩის მერვე კვარტეტის თემა. ვარდა ამისა, „შოსტაკოვიჩის შესახებ ქართველი კომპოზიტორების მიერ აღწერილია სტატიები, რეცენზიები, მოგონებები.

შოსტაკოვიჩის შემოქმედება მიხედვლილია ქართველ მუსიკისმკოდნეების ინტერესების სფეროში. ამ დარგში ნაყოფიერად მუშაობს ცნობილი მუსიკოსმკოდნე გ. ორკონიძე, რომელიც სამარტილიანდ ითვლება დ. შოსტაკოვიჩის შემოქმედების ერთ-ერთი საუკეთესო მკვლევარად. მას ეკუთვნის მასშტაბური გამოკვლევების მთელი ციკლი. მის მიერ შედგენილია კრებული „დ. შოსტაკოვიჩი“, რომელიც გამოიცა მუსიკალურ. სხვადასხვა კრებულებსა და გამოკვებებში გამოქვეყნებულია გ. ორკონიძის წერილები დ. შოსტაკოვიჩის 60-იანი და 70-იანი წლების შემოქმედებაზე, VIII და XIV სიმფონიებზე, ოპერაზე „კატერინა იზმაილოვა“, კინოფილმ „ჰამლეტის“ მუსიკაზე, პოემაზე „სტენკა რაზინის სიკვდილი დასჯა“ და სხვა.

მნიშვნელოვანი წერილებს ავტორია ცნობილი მუსიკოსმკოდნე ა. წულუკიძე, რომელსაც ეკუთვნის სტატიები „დ. შოსტაკოვიჩი“, „შოსტაკოვიჩის სიმფონიზმი“, „ომისა და მშვიდობის თემა შოსტაკოვიჩის შემოქმედებაში“. ამ წერილებში ა. წულუკიძე ქართველ მკითხველს დ. შოსტაკოვიჩის ესთეტიკური აზროვნების შესახებ სათავადად ფრიალ საინტერესო აზრებს უდევს.

დიდი ადგილი ეთმობა შოსტაკოვიჩის შემოქმედებას გ. ყანჩელის შრომაში: „თემატური განვითარების პრინციპები შოსტაკოვიჩისა და ცინცაძის სიმებიან კვარტეტებში“. შოსტაკოვიჩის მეგვიდრობას სწავლობენ სხვა ქართველი ავტორებიც.

უკვს გარეშეა, რომ თანამედროვეობის უდიდესი კომპოზიტორის დ. შოსტაკოვიჩის შემოქმედება მომავალში კიდევ უფრო ღრმად გადაგამს ფეხებს ქართულ მუსიკალურ კულტურაში.



რომბერტ სტურშას—პიროვნებისა და შემოქმედის ჩამოყალიბების პროცესში უმთავრესი როლი პროტესტის მძაფრმა გრძნობამ ითამაშა. იგი სამყაროს განიცდის როგორც გადასაკეთებელ მოდელს და თავადაც მარადი განახლებისაკენ მიილტვის. თვითგანხორციელების მნელ გზაზე რ. სტურშა მსუბუქად მიაბიჯებს და იმ კაცის შთაბეჭდილებას სტრუვებს, რომელსაც არაფრად უღივს დიდი თუ მცირე ბარიერების გადალახვა. მისი ადამიან-

რება, ფიქრობდნენ, რომ იგი „ახალი მიწის“ აღმოსაჩენად მიდიოდა. მაშინ რ. სტურშა 21 წლისა იყო. ხატავდა, წერდა, უკრავდა და, მიუხედავად ამ მრავალმხრივი მონაცემებისა, ეჭვი არავის შეჰპარვია იმ აღთქმული ახალი ნაპირისათვის სახელდობრ სათვართო ხელოვნებაში რომ უნდა მიეგნო.

მ. თუმანიშვილის უახლოეს და უნიჭიერეს მოწაფედ აღიარებული, რ. სტურშა 60-იანი წლების დასაწყისში მივიდა რუსთაველის თე-

რომბერტ სტურშა

დალი მუმლაძე

ტექსტში წართული რეკლამის რომბერტ სტურშას ჩანახატები

ნური მომხიბვლელობა, უაღრესად ბავშვური, გულუბრყვილო გამომეტყველება უმკაცრეს ლოგიკაზე აგებულ თამაშის რაციონალურ წესს ნიღბავს და მისი პიროვნების თავისებურებას ისევე გაამხელს, როგორც ადვილი გამარჯვებების ზემოთ აღნიშნული ილუზია — მისი ტალანტის ხასიათს.

რ. სტურშა ყოველთვის იყო განსაკუთრებული ყურადღებით გარემოსილი. მიჩვეული — სიყვარულსა და აღიარებას. მას პატიობდნენ იმას, რასაც სხვას არავითარ შემთხვევაში არ შეუძლოდნენ. მისი სჯეროდით და გერ კიდევ მაშინ, როცა ინსტიტუტს ამთავ-



ატრში. ეს იყო დრო, როცა რომანტიკული და ტიპიური ყმაწვილური მაქსიმალიზმით დაპირისპირება აშკარად კონფლიქტურ ხასიათს იქნენა. მოძველებული სტანდარტებისაგან თავის დაღწევისა და ახალი მხატვრული ორიენტაციის დამკვიდრების უაღრესად რთულსა და დაძაბულ ვითარებაში რ. სტურშას სრულიად გარკვეული პოზიცია ჰქონდა და ფსიქოლოგიური თვადრის პრინციპების გამოხატა თავისი ერთგულება ყოფით-ფსიქოლოგიური თვადრის იმ პრინციპებისადმი, ევროპისა თუ რუსეთის სათვართო ხელოვნებაში რომ იყო გაბატონებული იმხანად. ამ

მიმართულებით მან მხოლოდ რამდენიმე სპექტაკლი განახორციელა და მიუხედავად იმისა, რომ მოდერლების ამ გზაზე გარკვეულ წარმატებას მიაღწია (ვ. როხოვის „ვაშშ-მობის წინა“), სხვებზე ადრე იგრძნო, რომ ფსიქოლოგიური თეატრის ყოფითი განვითარება, მისთვის დამახასიათებელი ემპირიზმი, ნაპყვილობის ილუზიის შექმნილი ქმედება რამდენადაც ნააჲალდეკა და არასისხლო-კითხული იყო ქართული თეატრალური კულტურისათვის, მისი მამფარა სანახაობრივი, გამოწავლის მშვენიერებით ანთებულ, ჭეშმარიტი არტიტიზმით აღბეჭდილი ბუნებისათვის. ამდენად, რ. სტურუს არ გასჭირვებია ადრე არჩეული გზის დათმობა. ათქმული მიწა ჯერ შორს იყო. მასთან მისასვლელი გზები კი — უსასრულოდ ბევრი და ახელი. რ. სტურუა საკუთარ თავს ეძებდა. ხშირად მიმართავდა ექსპერიმენტს, ხშირად პოულობდა კიდევ რაღაც მნიშვნელოვანს, მაგრამ ამ დროს უკვე ახალი მიჯნების გადალახვას ცდილობდა და მათი დაძლევის აზარტით იყო შეუპოვრილი.

ვიღრე თანამედროვე ინტელექტუალურ დრამის არსებითი კონფიგურების გააზრებამ შეუდგებოდა ან ბრეტის ეპიკური თეატრის ესთეტიკას ქართულ სასცენო ხელოვნებას დაუკავშირებდა, მან განახორციელა დაღვმა, რომელსაც პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა რუსთაველის თეატრში მომდინარე შემოქმედებითი პროცესების გააზრებისათვის, მისი უახლესი მხატვრული ტენდენციების გარკვევისათვის. მათი რაობის განსაზღვრა, ცხადია, სრულქმნილ მხატვრულ მასალაზე უფრო იყო შესაძლებელი. ა. მილერის „სეილემის პროცესი“ კი სწორედ ასეთ ნიმუშს წარმოადგენდა. რ. სტურუს აღრინდელ ძიებაზე შედეგები აქ ახალ თვისობრიობაში იყო გამოხატული. ნაწარმოების პრობლემათა თანამედროვე გააზრება, მათი გადატანა ზეიობის

სფეროში, ფსიქოლოგიური წედომის ისტატობით გამოხატული დიდი ადამიანური ენებები, ქმედითი ანალიზის პრინციპზე აყვებულ რეისიორული პარტიტურა, საშემსრულებლო თუ სცენოგრაფიული კულტურა ისეთ მხატვრულ მოლიანობაში იყო განხორციელებული, რომ საეტაპო მოვლენის მნიშვნელობას სენდა დაღვმას. სპექტაკლის შემქმნილი კოლექტივი ტირანის წინააღმდეგ იმაღლებდა ხმას და იგი ამ მიმართებითაც უკავშირდებოდა რუსთაველის თეატრის საუკეთესო ტრადიციებს, მაგრამ რ. სტურუს მიღწეული ტუბობის სურვილი არც მამინ გასჩენია და ფსიქოლოგიური თეატრის სხვა თავისებურებათა წედომით აღარ დაინტერესებულა. არ შემოფარგულა მარტოოდენ მისი ეანრით.

რ. სტურუს შემდგომი მოღვაწეობა სწორედ სხვადასხვა სტილისა და ეანრის, სხვადასხვა საშემსრულებლო მანერის ერთმანეთთან შეკავშირებისა და ურთიერთამოდიდრების ნიშნითაა აღბეჭდილი. ცნობილია, რომ სინთეზირების ამ გზაზე, ეგერფიუდებულ შერეული ეანრის პრინციპების დაუფლებისათვის შესლო მან საკუთარი თეატრალური მოდელის შეთხზვა, რომელშიც სხვადასხვა თეატრალური კულტურებისათვის კარგად ცნობილი სტრუქტურები შეზების ისეთ მოულოდნელ წერტილებს პოულობენ, ისეთი ორგანულობით უკავშირდებიან ქართული სანახაობრივი კულტურის ძველთქმეულ ტრადიციებს, ისეთ მხატვრულ მოლიანობას ქმნიან, რომ რ. სტურუს მიგნებებს ქვეშარტი შემოქმედებითი აღმოჩენის ტოლუასს ხლიან. მაგრამ ეს მიგნებები აღმოჩენის მნიშვნელობას ვერ შეიძენდნენ, საფუძვლად რომ არ სდებოდათ ცნობილი ნაწარმოებების მოლოდნელი. სრულიად ახალი ინტერპრეტაცია. ამის გარეშე თავს ვერ გაიტანდა ქართული თეატრი ასე შორს და ვერც უდიდესი თეატრალური კულტურის მქონე ქვეყნებში მოიხვეჭდა სახელსა და აღიარებას. ამის უმთავრესი მიზეზი ახალი ფორმისა და ახალი შინაარსის ლოკიური მხატვრული ერთიანობა იყო. ანუ ის, რაც საერთოდ ქმნის ნამდვილ ხელოვნებას და განასხვავებს მას სხვათაგან.

(უილიამ ფოლკნერი ნობელის პრემიის მინიკებისას წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნავდა: „შემოქმედის მოვალეობაა შექმნას ისეთი რამ, რაც მანად არ არსებობდა. ანბანური ქეშმარიტებაა, თუშეკა მერისმეტად ძნელად განახორცილებული, განსაკუთრებით ხელოვნების ზოგიერთ დარგში, მაგალითად — თეატრში. „ჰამლეტი“ უკვე შექმნილია და როგორღა გინდა მის საფუძველზე არარსებული შექმნა? ამისათვის არ ცმარა



ახალი, უჩვეულო ფორმის დაძებნა. აუცილებელია აზრობრივი შინაარსის ახლებურად ამოკითხვა. უთუოდ ორივე მხარე უნდა არსებობდეს — ნაცნობი მასალის ახლებურად წყაიხებული შინაარსი და ახალი ფორმა. ცალ-ცალკე ორივე უქმარია. ისინი მხოლოდ ერთად იძლევიან საშუალებას შეიქმნას ისეთი რამ, რაც ადრე არ არსებობდა“).

ამ ერთიანობის მიღწევა, ცხადია, ძალზე ძნელი იყო და არც რ. სტურუას მიუგნია მისთვის უცებ. როგორც იგი თავად აღნიშნავს, პირველად ბრეტის „სეზუანელი კეთილი ადამიანის“ დადგმისას იგრძნო თავი ისეთად, როგორც ის ახლა არის, მაგრამ ეს პოტენციური შესაძლებლობების გრძნობა უფრო იყო ალბათ, ვიდრე უკვე შემდგარი შემოქმედებითი ფაქტი, რადგან რ. სტურუას ამ ქმნილებას ძალზე ემჩნეოდა ი. ლუბოვიის მიერ მოსკოვის ტავანკის თეატრის სცენაზე განხორციელებული ამავე სახელწოდების სპექტაკლის ზეგავლენა. რ. სტურუა აქ შეგირდს უფრო ჰგავდა, ვიდრე ოსტატს. უკან კი „სეილემის პროცესის“ შექმნის ავტორიტეტი და გამოცდილება იყო, მაგრამ მას არც მაშინ განუზრახავს უკვე განვილი გზისაკენ დაბრუნება.

ბრეტის ეპიკური თეატრის კონცეფციები არა მარტო რუსთაველის თეატრისათვის წარმოადგენდა დაუძლეველ სიმძლავს იმხანად. მისი პიესები იშვიათად იდგმებოდა საბჭოთა სცენაზე. ამ ფაქტს თავისი კანონზომიერება ჰქონდა. ბრეტის თეატრალური ესთეტიკა პრინციპულად განსხვავდებოდა სტანისლავსკის თეატრალური სისტემისაგან. ეს უკანასკნელი კი, როგორც ცნობილია, სახელმძოხვევილი თეორია გახლდათ არა მარტო რუსული სასცენო ხელოვნებისათვის. ერთი, ემოციური შეტაკების საფუძველზე შექმნილ აზრს მიიხიწევდა თეატრალური ქმედების არსად, მეორისათვის კი ამგვარი ქმედების დგრიტა თავად აზრი გახლდათ. ამდენად, ბრეტის შემოქმედებითი პრინციპების ათვისება ჩვენში მხოლოდ მაშინ მოხერხდა, როცა კარგად დაიწყებული ახლო წარსულის, სახელდობრ კი მეიერჰოლდისა და სხვათა თეატრალური პრაქტიკის გახსენების შესაძლებლობა შეიქმნა და მათი მონაპოვრების შეცნობა იმდენადვე აუცილებელი, რამდენადც საფუძვლიანად გვექონდა ათვისებული სტანისლავსკის რეჟისორული გაცეითლები. როცა ჩვენი სასცენო ხელოვნების ღრმად რეალისტურ ბუნებას ორგანულად დაუკავშირდა ექსცენტრიული თეატრალური ფორმები, უკიდურესი პირობითობა, ირონიულობა და პარადოქსულობა, როცა გარდუვალი აღმოჩნდა ისეთი მსახიობის აღზრდა, რომელიც მარტო გარდასახვის ოსტატობას კი არ



ვლობდა, არამედ საუმსრულებლო ტექნიკის სხვა თავისებურებებიც შეეძლო დაეძლია — ბრეტის წარმატებით დაიდგა საბჭოთა სცენაზე. 1975 წელს კი თავად რუსთაველის თეატრში წარმოდგენილმა „კავკასიურმა ცარკის წრემ“ დიდი გამარჯვება მოუტანა მთელს საბჭოთა თეატრალურ კულტურას და მისმა საყოველთაო აღიარებამ ცხადყო, რა ღრმად ჩაწვდომიდა რ. სტურუა თანამედროვე თეატრალური ენის რაობას, ამ რაობის წარმომსახველი რა დიდი ოსტატები აღუზარდა მას.

რ. სტურუა ბრეტის ეპიკური თეატრის ხასიათს ფრანგული ეგზისტენციალისტური დრამის კონცეფციების პარალელურად იაზრებდა. „სეზუანელი კეთილი ადამიანის“ დადგმიდან ცოტა ხნის შემდეგ მან ჟან ანტის



ურთულესი პიესა — „მედეა“ განახორციე-
ლა. ამ სპექტაკლში შედარებით სუფთა სახით
იყო წარმოდგენილი იდიოთა დრამის ანტი-
ილუზორული, ანტიმიმეზური ბუნება, მისი
მრავალპლასტიანი სტრუქტურა. „მედეა“ ე-
ანუის მეორე პიესა ვალდათ, განხორციე-
ლებული რუსთაველის თეატრის სცენაზე.
უფრო ადრე მ. თუმანიშვილმა აქ „ანტიგონე“
და დავა და სწორედ მასთან მიმართებაში
შეინიშნებოდა რ. სტურუას წარმოდგენის
პოლემიკური ხასიათი. ამ პოლემიკას მაშინ
პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა რეჟისო-
რისათვის, იგი მიზნად ისახავდა ინტელექტუ-
ალური თანავანძის გამოწვევას, მედვას პი-
როვნებად განხორციელების პროცესში ნა-
წარმოების ტრავი-ფარული ბუნების გამ-
ხელას, მაყურებლის გამოფხიზლებას, მისი
ცნობიერების პერიფერიაში მიყუდული სასი-
ცოცხლო იმპულსების ამოქმედებას და ნა-
ლებად ელტვოდა ემოციური თანადგომისა
თუ თანაღმობის გაღვივებას, ხასიათისა და
მოკლენის ფსიქოლოგიურ წვდომას. ანუ
იმას, რაც „ანტიგონესათვის“ იყო დამახასი-
თებელი. ამ თვალსაზრისით ანუის თეატრის
უმაჯარესი მხატვრული და იდეური ასპექ-
ტები „მედეაში“ სწორად იყო ამოხსნილი,
მაგრამ მისი საშემსრულებლობა დონე „ანტი-
გონეს“ მხატვრულ მთლიანობას ვერ უტოლ-
დებოდა. ვერც პროტესტის იმ ძალას გამო-



ხატავდა, ანტიგონეს უკვდავი სული რომ ატა-
რებდა და მშვენიერს ხდიდა მ. თუმანიშვი-
ლის დადგმას, მიუხედავად იმისა, რომ ინტე-
ლექტუალური დრამის არსებითი თავისებუ-
რებაში აქ არ იყო წარმოდგენილი დისტი-
ლირებული სახით.

„სეჩუნელი კეთილი ადამიანი“, „მედეა“,
აგრეთვე ინტელექტუალური თეატრის პრინ-
ციპებზე აგებული ჰ. იბსენის „ექიმი შტოკ-
მანი“ სასიხვი ქვა იყო რ. სტურუასათვის,
ეს ქვა უკვე აფრქვევდა ელვარე ნაბერჯე-
ლებს, მაგრამ ცეცხლო ცოტა მოგვიანებით
აენთო, მაშინ როდესაც რ. სტურუამ ევრო-
პული თეატრალური კულტურის შტუდირე-
ბის გზა გაასრულა და უკან გამოსასვლელი
ბილიკი იპოვა საკუთარი თავისაკენ. მიავნო
საკუთარ ხმას, თემასა და სტილს.



1967 წ. რ. სტურუამ ა. ცაგარლის „ხა-
ნუმა“ დადგა. ნამდვილი თეატრალიზმის, გა-
მონავონის სიხარულითა და სიუხვით აღბეჭ-
დილი ეს მუსიკალური სპექტაკლი (და არა
მიუხილი, გ. ყანჩელს მიუხილისათვის აუ-
ცილებელი მუსიკალური დრამატურგია არ
შეუქმნია აქ.) „გახსნილი ხერხით“ თამა-
შის დემონსტრაცია ვახლდით უკვე ჩვენების,
წარმოდგენის და არა განცდის ან გარდასა-
ხვის სტილისტიკა გმირების გრძნობათა ბუ-
ნებას განამხელდა და სპექტაკლის ანტიმიმე-
ზურ, ანტიილუზორულ ხასიათს წარმოაჩენ-
და. თანამედროვე ქართული თეატრალური
კულტურის ახალი საშემსრულებლო ხერხე-
ბით გამდიდრება ეროვნული კლასიკური პი-
ესის საფუძველზე ხდებოდა და ამ გარემოე-
ბას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა არა
მხოლოდ რ. სტურუას შემოქმედებითი ბიოგ-
რაფიისათვის. „ხანუმა“ სახანაობრივ, იმპრო-
ვიზირებულ, დღესასწაულებრივ სტიქიაში თა-





მამის ახალ წესს ერთხარით აღტაცებით იღებდნენ მსახიობებიცა და მაყურებელიც. გამარჯვება უდავო იყო, თუმცა „ხანუმას“ ერთი მნიშვნელოვანი რამ ავლდა: ის უპრობლემო სანახაობა იყო და სწორედ ეს წარმოადგენდა მის აჟიარა ღირსებებში დაქვევების მიზეზს.

დღეს, „სამანუშვილის დედინაცვლის“, „ეყარეყარე“, „კავკასიური ცარცის წრისა“ და „რიჩარდის“ მხატვრული მიგნებების სიმალლიდან შეუდარებლად ადვილია არა მხოლოდ „ხანუმას“ ნოვაციების დანახვა, მათი დეკავშირება რ. სტურუას შემოქმედებით გენეზისთან. დღეს სურათი დამთავრებულია. მამინ, მხოლოდ ეტიუდები იქმნებოდა. მართალია, ეს ეტიუდები პასტორული ტექნიკით იყო შესრულებული და ე. ი. ძნელი არ იყო მათი რაობის განკურება, მაგრამ ისინი მაინც მოსამზადებელ ვარიანტებს წარმოადგენდნენ დიდი ტილოსათვის. ამ ტილოს შექმნამდე რ. სტურუამ კიდევ ერთი ვარიანტი შეასრულა „ადამიანის კვლავ გადამიანების“ თემაზე. ამ ვარიანტის ბუნებაც იმპროვიზაციული ხასიათისა გახლდათ, მაგრამ ამჯერად იგი დავით კლდიაშვილის სამყაროს ტრაგიკომიკური შინაარსისა და ეანრული სტრუქტურის გამოსაშვარავებლად იყო მიმართული. „სამანუშვილის დედინაცვლის“ რეჟისორული ინტერპრეტაცია კლასიკის თანამედროვე გაზარების ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად იქნა

მიჩნეული. სპექტაკლი 1969 წ. დაიდგა. მასზე მუშაობა თ. ჩხეიძემ დაიწყო, დასრულებულია რ. სტურუას მოუხდა და სწორედ მან მოუნახა სპექტაკლი დიდი სცენური სიციცხლის გასაღები.

თ. ჩხეიძეს ჩანაფიქრი ფსიქოლოგიური წვდომისა და გარდასახვის პრინციპზე მჭონდა აგებული. რ. სტურუამ ეს პრინციპი შესცვალა. უფრო სწორად, მასთან სინთეზის სახით მოგვცა წარმოდგენის, ჩვენების, დისტანციური კვრეტის მეთოდი. ბრეტისიული „განხივების“ ეფექტის“ გამოყენებით მან ხასიათებისა და მოვლენების არსის გროტესკულ გამოშვლებას, მაილამი დამოკიდებულების დემონსტრირების მიალწია. სპექტაკლის შესანიშნავმა აქტიორულმა ანსამბლმა კი ტრაგიკომიკური ვარსის ურთულესი სპეციფიკის წვდომისათვის ისევე ადვილად გაითავისა ახალი საშემსრულებლო სტილი, როგორც „ხანუმაში“ და აქაც დიდ აქტიორულ გამარჯვებებს მიალწია (ს. ზაქარიაძის — ბეკინა სამანუშვილი, მ. გეგეკვირის — პლატონი, რ. ჩხეიძის — კირილი).

რ. სტურუა უკვე საცემბით იყო დაწმუნებული ახალი საშემსრულებლო ტექნიკის დანერგვის კანონზომიერებაში. ამ რწმენის ძალამ შეაძლებინა მას კვლავ ეროვნული დრამატურგიისათვის მიემართა და საყოველთაოდ ცნობილ ნაწარმოებში (პ. კაკაბაძის „ეყარეყარე თუთაბერი“) ახალი შინაარსისა და ახალი ფორმის ფეთქებადი ერთიანობა გამოეხატა.

სპექტაკლი 1973/74 წ. წ. სეზონში დაიდგა. მისი სახელწოდება უკვე მეტყველებდა იმაზე, რომ ჩვენ გვთავაზობდნენ ადამტაციას, რომლის მიზანი მკრებულობითი მნიშვნელობის მქონე სახის, ტიპის, სიმბოლოს წარმოდგენა იყო. სპექტაკლს „ეყარეყარე“ ერქვა. რ. სტურუა ამ პიესის ადრინდელი ინტერპრეტაციებისაგან განსხვავებით, საცემბით უჩვეულო, გლობალურ მასშტაბებში იაზრებდა „ეყარეყარის“ იდეას და პ. კაკაბაძის შემოქმედებისათვის დამახსიათებელ თემებსა თუ მოტრეებს სრულად ახალი რეჟისორული კონცეფციის ტრაგი-ფარსულ, გროტესკულ-პაროდიულ სტრუქტურაში წარმოადგინდა.

სპექტაკლის ორანჟენტალიზმი, ყოფითი პლანების მისტერიული შინაარსის გამდიდრება, ეყარეყარეს — ახალი დროის ამ „მესის“ ქრისტესთან შეპირისპირების პაროდიული ბუნება, ძალიან მამფრად გამოხატული წარმოდგენის მუსიკალური თუ სცენოგრაფიული გადაწყვეტა (მუსიკალური გაფორმების ავტორი თავად რ. სტურუა გახლდათ. მხატვრები: მ. შველიძე, ი. იმერლინი), მოულოდნელობის ეფექტებზე აგებული





თი აღზევება-განგვირგვინების პროცესში „ადმინისტრაციული თამაშობებისა“ ანუ პოლიტიკური ავანტიურების ატრაქციონი იყო წარმოდგენილი.

ყვარყვარე — ერის მამად და მხსნელად იყო შერაცხული.

რჩიარდი — გვირგვინოსან, კანონიერ მეფედ.

ყვარყვარეს მეტამორფოზებს, ცხოვრების კიბეზე ასასვლელად გამოყენებულ ხრიკებსა და ნიღბებს ირონიულ კონტრასტულ უქმნიდა ძველთუძველესი ქართული ჭრალა — „შობაი შენი, ქრისტეო“, ვეპერის „იესო ქრისტე — სუპერ ვარსკვლავი“ და ბეთხოვენის IX, გმირული სიმფონიის ფინალი. რჩიარდს — ძველ დიქტატორთა გამოცდილებით შეიარაღებულ ამ თანამედროვე ტირანსა თუ მადეის ლიდერს, რომლის „სამოღვაწეო“ ხერხების ტრივიალიზაცია სექტაკლში საგანგებოდ იყო ხაზგასმული — ჩერნის სასულიერო ეტრუდის რაფინირებული მკლოდი უტრობა, ბახის „ოკიატა“ და გ. ყანჩელის მიერ დადგმის ნამდვილი თანავეტორობით გააზრებული მუსიკალური პარტიტურა უქმნიდა ანტიოფსას.

ირონიზირებისა და პაროდირების სრულიად გარკვეული ზნეობრივი და სოციალური ასპექტები ჰქონდა დაძეწილი რ. სტურუას ორივე თხზულებაში. აქ ნიღაბი ეხდებოდა არა მხოლოდ ყვარყვარესა და რჩიარდს, არამედ იეიტებოდა საზოგადოება, რომლის „სალმა აზრმა“ და გაუხეინებამა სულმა მათი არსებობა დაუშვა. განაპირობა მათი ტრიუმფი. შეგუების ამ ობიექტულ გზაზე ხალხი თვითონ დაემსგავსა თავის ბელადს და მიერო ყვარყვარეებად, პატარა რჩიარდებად იქცა. რ. სტურუა სწორედ ამ მიმართებაში გამოხატავდა ორივე სექტაკლის ტრაგიკულ პათოსს, რადგან სწორედ ამ გარემოებაში ხედავდა ყვარყვარესა და რჩიარდის ხელახალი აღორბინების წინაპირობას. პირველი სექტაკლის ფინალში ყვარყვარე სანაგვე ყუთიდან ამოდიოდა და უბიწოების თეთრი ნიღბით ცვლვ ბრუნდებოდა სცენაზე. „რჩიარდში“ კი რჩიარდი — რჩიარდის გაწვრთნილი უნიჭიერისი და უხალისის მოწაფე იდგამდა სამეფო გვირგვინს. სექტაკლს ასრულებდა ნაპოლეონის სამკუთხა ქუდსა და ლაქის თეთრ ხელთათმანებში გამოწყობილი მასხარას ირონიული ღიმილი. დიდი ბრიტანეთის დაფლუთილ, სცენაზე განრბომულ გეოგრაფიულ რუკას კი იერონიმ ბოსხის ბორბალებზე შემომჭდარი აპოკლიფსური ყვავი დასცქეროდა.



ციტაციისა და აპოკაციის ხერხები, მძაფრად სანახაობრივი, აშკარად კანონავალური, ნიღბებისა და კოსტიუმების მონაცვლეობის მრავალწახანგოვანი გრადაციები, ანთებული მხილების პათოსითა და გაიციკვის სულსკვეთებით, თავბრულმამხვებ, გამოგნებულ შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებელზე. ეს იყო სრულიად ახალი მხატვრული სამყარო.

ხაქსფერ მუნდირში გამოწყობილი ყვარყვარე, ისევე, როგორც შემდგომ ნაცრისფერი ფრენით შემოსილი რჩიარდი, ბონაპარტიზმის თვისებებს ატარებდა და რ. სტურუა-ც ტირანის გლობალურ ასპექტებს იაზრებდა ორივე სექტაკლში. მისთვის მნიშვნელოვან არ ჰქონდა, რომელი ქვეყნის ისტორიისა თუ აწმყოში წიაღში იმუნენ განდიდების მანიკალური ფსიქოზით შეპყრობილი ეს სხვადასხვა რანგის ბორბოტოქმენდარი. რევისორი აქ ხასიათების ზედროულ შინაარსს აცნობიერებდა და მასის ტიპიზირებულ სახეს ქმნიდა ინდივიდის ფსიქოლოგიური ანალიზი შერეული ეანრის პრინციპებით განხორციელებულ სექტაკლში ამყარად შეგვებულად იყო უარყოფილი.

ყვარყვარეს ისევე ჰქონდა ჩამოცლილი ნაცარში ოცნების მქარავი დიდოსტატის ხასითი და კოლორიტი, როგორც რჩიარდს — ტრაგიკული პიროვნების თვისებები. პ. კაკაბაძის — ყვარყვარე თუთაბერი, ისევე როგორც უ. შექსპირის — რჩიარდ III, რ. ჩხეკავის მიერ წარმოდგენილი გმირების არქეტაპები იყვნენ. ერთი დიდი იმპერიის მიყრუელებლ მახრამში ჩაღირობდა, მეორე — დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში იღწწოდა, მესამე არსი მათი ქმედების ერთნაირი იყო. ორივე კანონავალური გმირი გახლდათ და მა-




„რიჩარდში“ კიდევ არა ერთი თემა იყო რემინისციონებული „ყვარყვარდანი“. ამ რემინისციონებებს კონცეპტუალური მნიშვნელობა ჰქონდათ და „ყვარყვარდში“ შეთხზული თეატრალური მოდელი დამკვიდრებასა და გავრცობას ისევე ადასტურებდნენ, როგორც კოტა უფრო ადრე განხორციელებული დადგმა „კავკასიური ცარცის წრისა“, რომელშიც რ. სტურუა უკვე აღარ ისახავდა მიზნად ბრეხტის დებულებათა „სუფთა სახით“ წარმოდგენას. ამ სპექტაკლის ღრმად სინთეზური ბუნება, მისი ქორეოგრაფიული პლასტიურობისა და მუსიკალურობის ხარისხი, გარდასახვისა და წარმოდგენის მეთოდთა ურთიერთშეკავშირების სისტემაში აგებული ხასიათები, ქმედითი ანალიზის პრინციპი, აქცარად იმპროვიზაციული, ძალდატანებელი თეატრალიზმის განცხადების მიმართებაში იყო ბრეხტის თეატრალურ ესთეტიკასთან, როგორც იხიებოდა მისგან. ამ მოსახრების საილუსტრაციოდ მარტო იმის აღნიშვნაც იკმარებდა, რომ ბრეხტის გამიკიხავი ანტიილუმინორული თეატრი კატეგორიულად გამოირჩევადა, მაგალითად — ეოკალით ტეობიას. იგი „სამგროშოანი ოპერის“ შესრულებისასაც არ იყო მიჩნეული სავალდებულოდ. რ. სტურუას სპექტაკლი კი გ. ყანელის მუსიკაზე იყო აგებული და მას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა სპექტაკლის ტრიუმფალურ გაპარჩევაში. ეოკალური საშემსრულებლო კელტურის ფლობა აქტიური იყო წარმატებების ხარისხს აპირობებდა აქ (ე. ლოლაშვილია წამყვანი, გ. საღარაძის — ედრეიტორი). რ. ჩიკვაძის ახდაკი კი სწორედ იტალიური ბელ-კანტოს და არა კურტ ვალის თუ პაულ დესაუს (პირველი „სამგროშოანი ოპერის“ კომპოზიტორი იყო, მეორე — კავკასიური ცარცის წრისა) ირონიულ ექსცენტრიული ზონგების მანერაში შესრულებული არიამონოლოგიით აღწედა ისეთი დავიწყყარი

წუთების შექმნას, ისეთ ინდენტობებშია რ. სტურუას მიერ შეთხზულ მხატვრულ-აქტიურობას, როგორც მარტოოდენ ბავშვებს ან ქუშპარიად დიდ მხატვრებს შეუძლიათ.

„კავკასიურ ცარცის წრეში“ წარმოდგენილი ყალბე შემდგარი და დასანერვილ შეტორტმანებული სამყარო რ. სტურუამ ზნეობას გადაარჩინა, ზნეობას, ყოველთვის უმაღლეს სულიერ განზომილებად რომ რჩება, რა სამოსელშიც არ უნდა იყვეს გახვეული. აქი იტირათა რაფაელის ლეონარდოს სხივით განათებულმა იზა გოგოშვილის მშვენიერმა გრუმემ უმაღლესი ზნეობრიობის ხვედრი და მოწამებობივი ერთგულებით აზიდა პირველად განხორციელების სიმძლემდე. აღმაინის თანდათან დბადების, მისი „უკლავ გადაამიანურების“ პროცესს მასხარას ნილაბში გაუცხოებელი ახდაკი ბრეხტის თვალებით შესკეროდა და ბავშვს იმიტომ ატანდა გრუმეს, რომ მისი ამბოხით მოიხიბლა, თეთვამორეკვისაკენ მიმსწრაფ სულს შეახო ხელს...

„კავკასიურ ცარცის წრეში“, ისევე როგორც რ. სტურუას დიდსა თუ შედარებით მკითხე მნიშვნელობის ქმნილებებში, კიდევ ერთხელ გამოიხატა სამყაროს ის მოდელი, გადაკეთებას რომ ითხოვს. მისი პრობლემების მოქალაქობრივი თუ შემოქმედებითი აქტიობით წარმოიგნა XX საუკუნის მხატვრულ, ზნეობრივ, ინტელექტუალურ გამოცდილებაში ჰპოვეს სათავეს და რ. სტურუას ხელოვნების არსებითად ელიტარულ ხასიათში დემოკრატიულ პათოსსაც განამხელს.

ალბათ ამ მიმართებაშიცაა საძიებელი რუსთაველის თეატრის იმ ტრიუმფალურ გამარჯვებათა მიზეზები, საყოველთაო აღიარება რომ მოუტანა ქართულ თეატრალურ კულტურას და მოსოფლიო ასპარეზზე გაიყვანა იგი.



გაცოცხლებული ბრაუზიკა

ალექსანდრე რიხნიანსკიმ კინოში მოსკლისთანავე მიმოივსა აღიარება: მისი პირველი ოპერატორული ნამუშევრის „ალავერობის“ კადრის გრაფიკულმა დახვეწილობამ, ხაზოვანმა კომპოზიციამ, შუქ-ჩრდილების კონტრასტულმა განლაგებამ მოიქცია კინოსამყაროს ყურადღება. ფილმის ძირითადი იდეა ვამომსახველობით ვაღაწვევტა-შიც იკოთებოდა. ვანაკუთრებით ეს შესამჩნევი იყო კინონაწარმოების კულმინაციაში, როცა ნამთვრალევი ხალხის წინაშე გმირი თავბრუდამხვევად გამოაქანებდა ცხენს ალაზნის ველის უკიდევანო სივრცეზე. წინ თეთრი გედევით აღმართულა ალავერდის ტაძარი. მხედრის ჩამუქებული სილუეტო დიაგონალზე შირდა სივრცულ კადრს. ეპიზოდის ექსპრესიულობა მიიღწეოდა გმირის სრბოლისა და გაშეშებული, გაუიწეული ხალხის მსხვილი პლანების მონაცვლეობით.

აქ ოპერატორი რეჟისორ გიორგი შენგელაის თანამოაზრეა. იგი ღრმად ჩასწვდა გურამ რჩეულიშვილის მოთხრობის არა მარტო აზრს, არამედ სტილსაც და ეცადა კინემატოგრაფიულად აღეკვატური, ვამომსახველი სახეები შეექმნა ეკრანზე.

ეპიზოდების შინაგანი დასაბულობა მიიღწეოდა ეკრანზე არა მხოლოდ მათი აზრობრივი დატვირთვით, არამედ ვამოხატვის დახვეწილობითაც. ალავერობის დღესასწაულის გადაგვარებული ფორმის შემყურე გმირმა იგრანო, რომ აუცილებელია რაიმეს ვაკეთება, რათა შექმას ეს ხალხი, ვამოაფხიზლოს, ვასხენოს მათი თავშეყრის ჭეშმარიტი მიზანი. ამ მხრივ, გმირი მეამბოხე პიროვნებაა, რომელსაც უნარი შესწევს აზრდაკარგულ ხალხს მათი არსი, ტრადიცია და საკუთარი მორალი შეახსენოს. რეჟისორთან ერთად ოპერატორიც იძლევა ამ კონტრასტულ დაბრისპირებას, გმირის ვარეგნობის ხაზგასმით, მისი მეტყველი თვალების, სხეულის პლასტიკური მონახაზით აღრმავებს ეპიზოდის აზრობრივ ვამოხუნელობას. ორი უაზროდ მოხტუნავე მოცეცავის დაბეჭითებითი ვამეორებით და გმირის მიერ მათი ურიტო ცეკვის უსიტყვო შეფასებით ეკრანზე თვალსაჩინო ხდება გმირის შინაგანი აფორიკების მსხეუი. დიდებული ალავერდის ფონზე ვამოცხადებული მეამბოხისა და ვაოცებული და უკე რალატი დაოცხვენილი ხალხის პლანების მონაცვლეობა დიდ ემოციურ ეფექტს იძლევა. შედეგად კი ოპერატორის ექსპრესიული კამერა უცებ მშვიდდება.

მარინე ნანიშვილი

იშვიათი გემოვნებით გადაღებული ტაძარი და ალაზნის უკიდევანო ველები, ვენახებში ჩაფლული, ერთმანეთზე მიკრილი სოფლები იკავებს ეკრანს და მყურებელს უდიდეს ესთეტიკურ ტკობას ანიჭება.

ასე მკაფიოდ იჩინა თავი ალექსანდრე რეხვიაშვილის ინდივიდუალურმა ხელწერამ მის სადილობო ნამუშევარში.

შემდგომი ფილმი „მიქელა“ (რეჟისორი ელდარ შენგელია) აგრეთვე ვამოიჩინოდა ოპერატორული ხელწერის ინდივიდუალობით. აქ რეხვიაშვილმა სტატუტური კონტრასტულობას მიმართა.

მიქელას მთელი ვგარი ამოუწყდა. დავით კლიაშვილი ღრმად ვანიციის თავისი გმირის ფაქტულობას, მის ვანწირულობას, დაღუპვის ვარღვევალობას. და ოპერატორიც, რეჟისორთან ერთად, ხატავს ეკრანზე ამ ჩაკეტილ, ჩამუქებულ, შეზღუდულ სამყაროს. იგი ყოველმხრივ ენახრება რეჟისორის ნაწარ-



ალექსანდრე რეხვიაშვილი

მოების ძირითადი აზრის ღრმად და სახიერად გადმოცემაში. გამომსახველობითი რიგი სტატიკურია, ფონისა და ფიგურების კონტრასტი მკვეთრი და ლაკონურია. ეს არის გაუნათლებლობისა და ფატალიზმის დამღუპველი ძალების კინემატოგრაფიული ამტყვევეობა.

გ. ტყაბლაძის მოხუცი, ცრურწმენის უაზრო გრანობას ატანლი, საკუთარ ავადმყოფ შვილიშვილს განდევნის ისედაც დაცარილებული სახლიდან, რათა ავადმყოფობამ ოჯახში არ დაისადგუროს. სიცივეში, თავსმავწივამში მიგდებულმა ბავშვმა მარტობაში უნდა დალიოს სული. ქარი ზმუის, წვიმამ ლამისაა წალეკოს ყოველივე და ბუნების ამ რისხვაში ახლოს ჩანს ბავშვის დიდრონი, შავი თვალები, რომლებშიც უკვე შეპარულა სიკვდილი.

„შიქელაში“ ისევე, როგორც წინა ფილმში, საინტერესოა ადამიანთა პორტრეტების

ახლო ხედებისა და მოქმედების ადგილების საერთო პლანების მონტაჟი. როგორც აღვნიშნეთ, ოპერატორი უარს ამბობს ასე ფეფქტურად უკვე მიგნებულ ექსპრესიულ კამერაზე, იბოტლებს ამოცანას და კადრების გრამატიკაში მშველი, მწყობრი გადასვლით ახერხებს ეკრანზე საერთო განწყობილების შექმნას. გრაფიკული, ძუნწი ხაზები, მუქ-ჩრდილების ფაქიზი შეგრძნება, კადრის აზრობრივი კომპოზიცია, მიდრეკილება მკაცრი ფორმებისაკენ, — ყოველივე ეს რეხვიაშვილის ამ ოპერატორულ ნამუშევარშიც არ ატარებს თვითიზნურ ხასიათს, ყველაფერი ფილმის აზრობრივ გადაწყვეტას, ეპიზოდების საერთო ატმოსფეროს ექვემდებარება.


ა. რეხვიაშვილის ინდივიდუალური ხელწერა კიდევ უფრო მკაფიოდ მის რეჟისორულ ნამუშევრებში გამოჩნდა.

მისი რეჟისორული დებიუტი — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ნუცა“ მიხეილ ჭავჭავიძის მოთხრობის — „უპატრონოს“ ეკრანიზაცია იყო. რეჟისორმა შეინარჩუნა ლიტერატურული პირველწყაროს ფაბულა, თუმცა პერსონაჟთა რაოდენობა საგრძნობლად შეამცირა.

უპატრონობის მიმე ხვედრი ნუცას დედისაგან მოსდევს. ისიც უპატრონი იყო, ისიც კნინამ სამალოდ გაზარდა და ისიც ვილაცასთან შეეცა. ნუცას დასახსიათებლად მწერალი ძუნწ, მაგრამ ამომწურავ სიტყვებს ხმარობს: „ვაზებუა მოკეცილი იჯდა“. „საჩქაროდ გაირბენდა“, „სალამუკამზე ფეშშიშეგლა და კაბაწეული საბუღებრებში ბზეს ჰყრიდა და თავის ოთახში ძვრებოდა...“ არავის ელაპარაკებოდა ნუცა, ვერც ვერაგონ ამინედა, რომ აი უკვე 17 წელია ცოცხალი არსება მათ გვერდით ცხოვრობდა. დალაპარაკებაზე ნუცა წითლებოდა. მოთხრობის პირველივე ფურცლებიდან ნათელი ხდება ნუცას ჩაგრული, ვარყული და გასაციოდავებული არსებობა.

ეკრანზე ნუცას (მარინე ჭანაშია) პირველივე გამოჩენა ასეთივე ემოციის აღძრავს. რეჟისორი შეეცადა თავისი გმირი ისე დაეხატა, როგორც მას მ. ჭავჭავიძელი ხედავდა.

მართალია, ფილმი უფრო ადრე მთავრდება. ეკრანული ნუცა არ ხდება მოწონე საკუთარი შვილის დადუღვისა, მაგრამ ეს არცვლის ლიტერატურული პირველწყაროს აზრს. რეჟისორს არ აინტერესებს სოფლური



ა. რეზიაშვილი და რ. ჩხიკვაძე
ფილმზე მუშაობისას

„კადრები ფილმიდან „XIX საუკუნის ქართული ქრონიკა““



ყოფის დეტალიზაცია. მას აღამიანთა უსუსულოვითა, ურთიერთობანი და ამ ურთიერთობათა შედეგები აღიღებებს. მიუხედავად ამისა, ფილმში ცოტა დიალოგია, ყოველივეს მიღწევა რეჟისორის სურს წმინდა კინემატოგრაფიული ხერხებით, ლაკონიურად, მაკარად, სახიერად.

ნუცამ „უცებ იგრანო, რომ იგი მიუღს ქვეყანაზე სრულიად მარტომდარტოა, რომ იგი მეტია, უპატრონო, ყველასგან დტანჯულ-დაჩაგრული, ყველას შეუძლია იმისი დაბრუნება და გამოსარჩლება კი — არავის. ყელში რაღაც მოაწეა, მზრებმა ტოკვა დაუწყეს, მთელი ტანი აუბამავდა და თვლებშიც ამდ დაპალუბით ცრემლები ჩამოცვივდა: ჩამქრალს სამოვარს შიშინი გაჰქონდა, ჰრაქი სუსტად ანათებდა. მთელ სახლში სიჩუმედ იყო. ნუცა კი ისევ იმ ადგილას გაუნძრევლად იჯდა, ისევ ვენახს და ჩაბნელებულ კაკლებს გადასცქეროდა და ჩუმად ტიროდა“. ეს ადგილი მოთხრობის დასაწყისშია, ზოლო ნუცასთან დაკავშირებული ძირითადი ამბები ამის შემდეგ ვითარდება, მაგრამ ეს მთავარი განცდა მსუქალავს მოთხრობას. ფილმის ემოციური პათოსიც სწორედ აქ არის. ნუცა — უპატრონოა, გამოსარჩლებას იგი არავისგან ელის. შვილის დაღუპვა, მეუღლის სიმხეცე — ამის შედეგია მხოლოდ. ამიტომაც რეჟისორმა ეს მომდევნო ამბები კადრსმილად დატოვა და აიღო ძირითადი — ნუცას გაუპროგრუნების, მისი სიმარტოვის თემა. ამ სამყაროში ნუცასნაირი აღაპიანებისათვის არ არის ადგილი. ნუცამ ეს კარვად შეიგრანო და თვად გადაწყვიტა მიეტოვებინა ეს ქვეყანა.

ნუცას შინაგანი განცდები, რომელიც მოთხრობაში ასე ვრცლადაა გაშლილი, რეჟისორმა მაკარი და ზუსტი, უსიტყვო კადრებით დახატა. სიგრცე, ჰაერი, მზე, სითბო ეკრანზე იშლება, როგორც ნუცას ოცნება, მისთვის მიუღწეველი რამ, რომელსაც იგი მხოლოდ რკინის ცხაურიდან ხედავს.

ნუცას თითქოს აწვება ოთახის კედლებისა და ჰერის სიმძიმე, თითქოს სრისავს მას, თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალებას არ აღიღეს (ეს შეგრანება ეკრანზე ხმოვანი რიგითაა გამოხატული). რეჟისორი ნათლად გვიჩვენებს, რომ ამ სამყაროში ნუცასთვის მომავალშიც არავფერი შეიცვლება.

ნუცას სიკვდილი მოთხრობაში მოცემულია სახიერად, ვრცლად, რაც რეჟისორის ეფექტური ფინალისთვის დიდ მასალას აღლევდა.

„ყინვა იდგა. მოწმენდილი ცა მოციმციმე ვარსკვლავებით იყო შექვილი. არსიდან ხმაურობა არ ისმოდა. ნუცამ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და უღელს წააწედა. კბილუბით და მითროლვარე ხელებით აპურებთ

დახსნა, დახვია, პერანგის ქვეშ ამოიღო და ნული ნაბიჯით გზას გაუდგა. იმის ფეხქვეშ გაყინული თოვლი იმტვროდა, ტანსტი სიო ტრტველა ფეხებზე ეხვეოდა, ტანს უსუსხავდა, პერანგს უშრიალევდა, თმას უფრიალებდა. ნუცა ხშირ-ხშირად ჩერდებოდა, აქეთ-იქით იხედებოდა და ჭერდრევით თავის სახლისაკენ მიიპარებოდა...“

ა. რეხვიაშვილმა უარი თქვა ამ ეფექტურ ფინალზე. მისი ფილმების სტილისტიკა გამოირჩევა გარეგნულად მშვენიერ, ეფექტურ გადაღებებს, ხატოვან სურათებს, ფერწერულ ჩანართებს. ასევე ურობამდე დასულ ფორმათა სიმკაცრე შინაგან დაძაბულობას, ზუსტ, პეტყველ აქცენტებს მოითხოვდა.

ა. რეხვიაშვილმა ემოციურ ზეგავლენას სწორედ ამგვარი სახერხებით გამოიჩვენა კადრებით მიაღწია.

ეკრანზე ნუცა, ჩვეულებისამებრ, ბუჩქებში ჩაიმალება, უკანასკნელად გადახედავს არე-მარეს, მწარედ ჩაფიქრდება და ნელა, შვიდად, გარეგნული მღელვარების გარეშე შექმმს შხამიან ენკრას. ამ უსამართლო, ძალადობით აღსავსე სამყაროს ნუცამ მხოლოდ საკუთარი სიკვდილი დაუპირისპირა. რეჟისორი დიდხანს აჩერებს ყურადღებას ნუცას მეტყველ სახეზე, შემკრიალ, უძირო თვალებსა და მის ნაღვლიან მზერაზე.

თუკი „ნუცაში“ ადამიანის გაუპიროვნების მოწმენი გავხდით. ა. რეხვიაშვილის პირველ სტუდენტურიან მხატვრულ ფილმში „XIX საუკუნის ქართული ქრონიკა“ წარმოდგენილია პიროვნებათა თვითშეგნების ჩასახვა, მისი ნების ზრდა და განმტკიცება.

1979 წლის მანჰეიმის (გფრ) კინოფესტივალზე ფილმმა ერთდროულად ოთხი ძირითადი ჯილდო მოიპოვა: საერთაშორისო ეიურის პრიზი „ოქროს დუკატი“, კათოლიკური ეიურის მთავარი პრიზი, კინოკრიტიკოსთა საერთაშორისო ფედერაციის (ფიბრესი) პრიზი და ფილმის პოპულარიზაციისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ჯილდო — პრიზი „კინოხელოვნებაში ძიებისა და ექსპერიმენტისათვის“.

ხალხის ინტერესებისა და სურვილების ქომაგად ფილმში გამოყვანილია სტუდენტ ნიკო, რომელიც პეტერბურგიდან მშობლიურ სოფელში ჩამოდის, რათა ქალაქის ხელისუფალთაგან დაიცავს სოფლის ერთადერთი საარსებო წყარო, მისი კუთვნილება — ტყე.

ფილმის დასაწყისშივე, გარეგნულად თითქოსდა ჩვეულებრივ, ყოფით კადრებში შეგვჩანობა დრამატისმი. ნიკოს (მ. სალუქვაძე) გარეგნობაც — ფერმკრთალ სახეზე დიდრონი ანთებული თვალები, გაბედული მზერა, სწრაფი და მტკიცე სიარული, უცნაურად გრძელი პალტო, რომელიც თითქოს



უფრო მეტ დარწმუნებულობას ანიჭებს მის საშუალო სიმაღლის, წარმოსადგვ ტანს — რაღაც განწირულების მატარებელია. ჩვენნი ადამიანები ამისთანა დიდ საქმეზე უფრო სალო-ცაიდან უნდა წახვიდეთ! — ეუბნება ნიკოს იოთამი და მართლაც, მთელი სოფელი ძველ-თაველ, ხავსმოკიდებულ სალოცავთან იკრიბება. იოთამი საყდრიდან თემის დროშას გამოი-ტანს. დაძაბულ სიჩუმეს მხოლოდ ზარის რეკვა არღვევს. ეპიზოდის აზრობრივი და ემოციური დატვირთვა, ჩაფიქრებული, და-ძაბული სახეები, დროშის წინ ჩამოქილი ნი-კო, იოთამის გამოკლი, სიბრძნით დამძიმე-ბული შხერა, კვლავ თანასოფლელების გვე-ფრო უკვე საშუალო, შემდგომ კი საერთო ხედზე. შორიდან ეხედებოდა ამ ორ ძირითად გვეს, ვის გამოც ნიკო მიდის რთულ გზა-ზე და ვგვრნობთ — ეს ხალხია მისი მთავარი ზნეობრივი, მორალური ძალა უსამართლო-ბასთან შერკინებისას. ნიკო უხშირ გაეცემა იქაურობას, შესდგება, შორიდან კიდევ ერთხელ ვახედავს ვალაფანზე შეყრბულ თანასოფლელებს, მისი შთაგონებული სახე სეფდსა და კრძალვას გამოხატავს, ხოლო გულხკაეები იმდელი შეპყრუებენ მას. თან-დათან ნიკო თავის მიგონებას.

კინონაწარმოების ფილოსოფია აღიქმევა ბუნების სურათებითაც. ნათელი ხდება, რომ ბუნება და კონკრეტულად ტყე — ფილმის ერთ-ერთი მოქმედი გმირია. რეჟისორი ახერხებს შე-თერთმე გამოსახულებაში ფო-ტოების გამეფირვავლებს, ბუნების ხელთ-უქმნელობის და სურნელების მიტანას მყუ-რებლად. ტყე არის სოფლის მარჩენალი და მისი საყრდენი საკუთარი ადამიანური უფ-ლებებისათვის ბრძოლაში. ბუნებისა და ადა-მინის დრამატული კოფიქტის დამუშავე-ბაში, მათ ურთიერთდამოკიდებულებათა კვლევაში ქართულ კინემატოგრაფს თავისი მყარი ტრადიცია აქვს. „XIX საუკუნის ქართულ კრონიკაში“ შეინიშნება ამ ტრადიცი-ის თავისებური ვაგებულება. ნიკო რამოდენ-ნიმეგრ აღმოჩნდება უღრან ტყეში. იგი თითქმის თავისუფლად სუნთქავს, როცა ამ დიდ ხეებს შუა და ეკალბარდებით დაფა-რულ მიწაზე დაბოივებს. აქ მუცრობა ხელ-ფეხს. რეჟისორი ეყრანზე ხატავს ამოლტილ ხეთა შუკრებს, უღრან ტყეში კიდან შემოქ-რული სინათლის სხივს... უცვლელ, მარადი-ულ, წარსლისადმი ერთგულ ბუნებას ქა-ლაქის გულგრილი და გაუცხოებულ ყოფა უპირისპირდება. სოფლის ტყის ბუნებრივი სილამაზე იცვლება ქალაქის პარკში გემეტ-რითული სიხუტებით განლაგებულ ხეებში. მკენარეთა მომახერხებულ სიმეტრიული მონაცვლეობა უკარგავს მათ ბუნებრიობას

და სილამაზეს. ყოველივე გამოფიტული და ტყილამდ გამიმულებულია. ორი-სამი შტრიხით, წმინდა ეპიკურული ხერხებით რეჟისორი ახერხებს გარკვეულ განზოგადებს მიღწევას. დამყავებელი სას-ტუმრო ნათლად გამოხატავს ამ პატარა ქა-ლაქის ცხოვრების წესს, მის არსს, ვასავე-ბია, ვისთან ექნება ნიკოს საქმე, ვის ზღმია მთელი სოფლის ბედი. ამ აზრის კონკრეტული ვაგრძელება სახაზინო პალატა. ოთახში ოთ-ხი მაგადა დგას, ოთხივეს ქალადღების გრო-ვაში ჩაფლული ოთხი მსხვერპი უხს. ისინი გულმოდგინედ ჩაკვირებენ ვადაშლილ დავთრებს.

კამერის ერთი მოვლებით, ერთი საერთო ხედით რეჟისორი ხატავს ჩინონიკური ბიუ-როკრატიზმის მთელ ეპოქას, მის სულს, ამ გამოშრალ, უკაერო სივრცეში ცოცხალი არსებისათვის არ არის ადგილი. აქ მხოლოდ კატეტებს შეუძლიათ არსებობა, კანცელარი-ის უფროსის ოთახის ფანჯრის რაფაზე რომ ჩამწკრივებულან, რადგან წყალიც ცოცა უნ-დათ და ქანგბადიც. ამ სიბნელესა და სული-ერ სიკარგიელში ნიკოსათვის ერთადერ-თი მაკაცებლებში წყარო ქალიშვილის (დ. ხარშილაძე) ნათელი, უძირო თვალებია. იან-დათან, ძალდუტუნებლად შემოდის ფილმში ეს ლირიკული თემა. კინოთხრობის მკაცრი სტილი არ გამოირჩევა მის პოეტრობას. ახალგაზრდები ციხე-სიმაგრის ნანგრევებში დასკირნობენ და ქალაქის უმცირეს, გამო-შრალი ხელების სურათის მაიალი ბალახი, ეყენების ელარუნე, ჯანარი ცვლის. ახალ-გაზრდები უხშირ მიყვებიან გზას, ერთ-ორ სიტყვას თუ ეტყვიან ერთმანეთს, მაგრამ მათი დემოლი უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ხმაბალა თქმული სიტყვა. ეს ლირიკული დუეტო სოფლის ბუნების თემის ვაგამე-ბაა. სიმბოლურად ელერს ღია, მზით განათე-ბული მდელი. ეყრანი სივრცით, სინათლით, პაერთი იესება, მაგრამ მტერი ორულებით დიაგონალზე ვაკრილი ვაგრი მოახლოებული საფრთხის მაუწყებელია. ქალიშვილიან ნი-კოს დამშვიდობების სცენაში უქანსკელი შეხვედრის, საბოლოო ვანსიორების შეგარმე-ბა იკითხება. ამიტომაც მოულოდნელი არ არის, რომ უღრან ტყეში, ნიკოს ვარდა კი-დედ სამი კაცი გამოჩნდება. მართალია, ისინი ვერ მოკლავენ ნიკოს, შეუმოდებია, მიქელ-მკურნალს კი იმავე შიშის გამო ტყვიას შიგ მკერდში დაახლოან და ვონდაკარგულები, დამფრთხლები გაიქცევიან.

შემდეგ კი სოფელი მოდის თავისი ქომა-გის საძებნელად, მაგრამ, ფილმის ფინალი უფრო ადრე დადგა, რადგან თავიდანვე ნა-თელი იყო ქომაგის განწირულება, მარტვი, ისევე როგორც ის, რომ ზნეობრივი, სული-

ერი გამარჯვება სოფლისა და მისი ქომაგის მხარეზეა.

ფილმის შინაგანი ქმედითობა და დაძაბულობა, რომელიც თითქმის უმოძრაო კადრებში იგრძნობა და იკითხება, გამოსახულების სიმკვეთრე და ლოკონიურობა, ყოველი კადრის სიღრმე, გამოხატული ხაზოვანი კომპოზიციაში — ყოველივე მეტყველებს ალექსანდრე რეზიაშვილის სტილის თავისებურებაზე, რამაც რეჟისორს თანამედროვე ქართულ კინოში უკვე დაუმკვიდრა საკუთარი, სხვებისგან განსხვავებული ადგილი, მიუხედავად იმისა, რომ რეზიაშვილი არ მიეუფეთება ხელოვანთა იმ კატეგორიას, ვისაც ყველა ფენისა და გემოვნების მკურებელი ერთსულოვნად ეტყობოდა. ზოგს მისი ფილმები ნაკლებად ემოციურად მიაჩნია, გახანგრძლივებული პაუზები, თხრობის ნელი, მღორე რიტმი კი — მოსაწყენად. მაგრამ არიან ისეთებიც, ვინც ამ გზას (დილოგების, მუსიკის ნაკლებობას, კადრის მაქსიმალურ განტვირთვას, სიმბოლურ, მეტაფორულ აზროვნებას ცალკეული დეტალების მეშვეობით და ა. შ.) თანამედროვე კინოს განვითარების ყველაზე რთულ და სწორ მიმართულებად თვლის.

აი რას წერდნენ ქურნალ-ვახუთები მანჰეიმის ფესტივალზე „XIX საუკუნის ქრონიკის“ ჩვენებასთან დაკავშირებით:

„ქართულ ქრონიკებს“ უკვე კარგა ხნის განთქმულ ქართულ კინემატოგრაფიაში შეაქვს ახალი ელერადობა: ფილმი უფრო მკაცრია, სერიოზული ფორმითა და თემატიკით უკიდურესად კონცენტრირებული — ეს ის კონცენტრაციაა, რომელიც განსაზღვრავს კინოთხრობის საერთო სტილს.

შთაბეჭდავია ტყის სახე, რომლის სიმშვიდე ქმნის დისტანციას და ამით მოქმედების სიერცეს ანიჭებს რთულად დაშფოვულ სიმბოლიკას, ცალკეულ დეტალებში რომ ვლინდება“. („ბაზუერ ცაიტუნგი“, ბაზელი (შვეიცარია), 1979 წ. 17 ოქტომბერი).

„...მიუხედავად იმისა, რომ ფილმის მოქმედება მე-19 საუკუნეში იშლება, იგი მეტად თანამედროვე ნაწარმოებია ბიუროკრატიულ მექანიზმის კრიტიკის თვალსაზრისით.

სტუდენტ ნიკოს ბაძოლა ძალადობის წინააღმდეგ წაგავს ღონ კიბოტის შერკინებას წისქვილითან. ამასთანავე, გროტესკი თავის კომიკურ თვისებებს კარგავს და ტრაგიკულად სერიოზული ხდება. აქ კავთაც შეგვიძლია გავიხანეთო“. („რეინ-ნეკარ-ცაიტუნგი“, მანჰეიმი (გერმ) 1979 წ. 12 ოქტომბერი).

„...მკაცრ შეავთერ კადრებში გადაღებული ეს პოეტური ქმნილება, აღსავსე დროის კოლორიტითა და სარკაზმით, თავისი განწყობითა და სტილით დისტოციესისა და კავ-



კადრი ფილმიდან „ნაღვერდობა“



კადრი ფილმიდან „მიწლა“

კადრი ფილმიდან „ნაღვერდობა“



კას ვეაგონებს» («რეგეს-ანკაიერ», ციურიხი (შვეიცარია), 1979 წ. 19 ოქტომბერი).

ვასულ წელს იტალიის ქალაქ ზენაროში გამართულ საბჭოთა ფილმების რეტროსპექტივაზეც «XIX საუკუნის ქართულმა ქრონიკამ» იტალიური კრიტიკის მაღალი შეფასება დაიმსახურა. აი რას წერდნენ კრიტიკოსები: «XIX საუკუნის ქართული ქრონიკა» მტკაფორული ფილმი, რომელშიც ქართული კინოსათვის დამახასიათებელი მელანქოლიური ტონალიზმა ტრავიკულ ელფერს იძენს. ამ სეკენად ალგორიაში იკითხება კავკასია და გოგოლის ველენა, ხოლო თუ ვილაპარაკებთ კინემატოგრაფიულ ტრადიციასთან კავშირზე, მაშინ უფროდ შეინიშნება სიახლევე ბერგმანთან, უელსთან და გერმანულ ექსპრესიონიზმთან: რეალობა მუდმივად მოძრაობს გაონავონის სივრცეში» (მასიმო სპოლი, «ილ მესაჭერო», 1980 წ. 16 ივნისი).

ამჟამად ალექსანდრე რეხიაშვილმა დაასრულა გალება ახალი მხატვრული ფილმისა, რომელსაც დაახლოებით ასეთი წინათქმა უძღვის:

მე-19 საუკუნემდე მოყოლებული მტრისაგან გამარცხვულ და დაქსაქსულ სამხრეთ საქართველოში ზშირი იყო აგრეთვე ადამიანების გატაცება და მათი გაყიდვა.

ადამიანებს, რომლებიც ბედის უქულმართობით საქართველოს საზღვრებს გარეთ მოხვდნენ და მუდამ მისი განთავისუფლებასათვის იბრძოდნენ, ეძღვნება ეს ფილმი».

ახალი ნაწარმოები ერთგვარად ასრულებს ა. რეხიაშვილის თავისებურ ტრიპტიქონს, დაწყებულს «ნუცათი» და «XIX საუკუნის ქართული ქრონიკით». მართალია, სამივე ფილმის შინაარსი განსხვავებულია, მაგრამ რეჟისორული სტილი და ძირითადი თემა — ზოგადი სამართლიანობის ძიება — აერთიანებს ამ კინოტილოებს.

ახალ სურათში რეჟისორის სტილი ისეთივე კაეთი, ზედმოწეწნით გამომსახველი და ძუნწია, როგორც წინა ფილმებში. დრო პირობითია და მაქსიმალურად კონცენტრირებული. ფილმის აზრობრივი აქცენტები კ უფრო მეტად ზნეობრივ ცნებებზეა გადატანილი.

ამ ფილმით ალექსანდრე რეხიაშვილის რეჟისორულ ბიოგრაფიაში დასრულდება სამ ფილმად გაშლილი ივაჯი პიროვნების შინაგანი სამყაროდან გამომდინარე ცხოვრების გააზრებასა და ამ ცხოვრებაში სამართლიანობის ძიების შესახებ.

დრო გვიჩვენებს, თუ რა გზით წარიმართება ამ სინტერესო, თვითმოყოფადი რეჟისორის ესოდენ წარმატებით დაწყებული ძიებანი.

ხალხშირი მუსიკალური შემოქმედების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას ხალხური სიმღერების კლასიფიკაცია წარმოადგენს. მსოფლიოს მუსიკალური ფოლკლორისტიკა მიმართავს სიმღერათა კლასიფიკაციების სხვადასხვა პრინციპს, რომელთა შორის უმთავრესია — სოციალური ფუნქციის განსაზღვრა, სიტყვიერი ტექსტის ანალოზი, მელოდიკისა და კლოური საფუძვლების კვლევა. ამ პრინციპების საფუძველზე დღინდება მუსიკალური ფოლკლორის ძირითადი კანონზომიერებანი, ყალიბდება კონკრეტული სასიმღერო ეანრები, სიმღერათა გარკვეული ჯგუფები. ქართველი მუსიკისმცოდნე-ფოლკლორისტიკა (დ. არაყიშვილი, გრ. ჩხიკვაძე, შ. ასლანიშვილი) იმთავთვე წარმატებით ფლობდნენ დასახელებულ პრინციპებს, რომელთა მეშვეობით სათავად დაუდეს კიდევ ქართული ხალხური სიმღერების კლასიფიკაციის სისტემას.

მაგრამ ქართულ ხალხურ სიმღერას ახასიათებს ერთი ძალზე სპეციფიკური, უადრესად უმნიშვნელოვანი და ორიგინალური თავისებურება — მრავალშინაობა, რომელიც ქართველ ფოლკლორისტებს ხალხურ სიმღერათა კლასიფიკირების, მათი წარმოშობისა და განვითარების ისტორიული სურათის დადგენის უფრო ზუსტ საშუალებას აძლევს. ეს პრინციპი, ქართული ხალხური სიმღერების ეროვნული ბუნებიდან რომ მომდინარეობს, შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ ქართულ მუსიკალურ ფოლკლორთან მიმართებაში.

მრავალშინაობა წარმოქმნის პრობლემების წრეს, რომლის არეში მოქცეულია ხალხური სიმღერების პარმონის ისეთი უმნიშვნელოვანი ასპექტები, როგორცაა აკორდიკა, საკადანსო ფორმები, მოდულაციები. კლასიფიკაციის ჩვენს მიერ შემოთავაზებული პრინციპი დაკავშირებულია მოდულაციებთან, უფრო ზუსტად კი მოდულაციურ გეგმებთან.

მოდულაციურ გეგმებს, როგორც სიმღერის თავისებურ არქიტექტონიულ ჩონჩხს, პირველად ყურადღება მიაქცია პანოფს. შ. ასლანიშვილმა თავის წიგნში «ქართულ-კახური ხალხური სავუნლო სიმღერების პარმონია», სადაც იგი სხვადასხვა ადგილას ჩაწერილი ერთიდაიგივე სიმღერის მოდულაციურა გეგმების იდენტურობაზე მივიჩინეთ. ეს თავისებურება ადვილად აისწება, თუ გავიხსენებთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს სიმღერების მოდულაციურ გეგმას ძირითადდ ქმნის ბანის მოძრაობა, ბანი კ შესრულებისას ყველაზე ნაყოფიერად განიცდის იმპროვიზაციული საწყისის ზეგავლენას. ამდენად, ქართულ-კახურ სიმღერებში ბანი ყველაზე კონსერვატიულ ელემენტს წარმოადგენს. მართლაც, საუკუნეების განმავლობაში შეიძლება არსებითად შეცვლილიყო სიმღერის მელოდიური ხაზები თუ პარმონიული ნაგებობები, მიუხედავად ამისა, უცვლელად ინახებოდა მისი არქიტექტონიკული ჩონჩხის ძირითადი

„ჩაკრულოსა“ და „ბრძელი ხალხური ბრავალქაიერის“ ზობიერტი თაჟისეპურეანი

ქართული ხალხური სიმღერების კლასიფიკაციის
ერთი პრინციპის მიხედვით

სოსო ჟორდანიანი

კონტრები. ეს აიხსნება ორი გარემოებით: 1) აღმოსავლეთ საქართველოს სიმღერებში ბანი სიმღერის ჰარმონიული საფუძველია, ყველაზე ნაკლებად მოძრავი ხმა და 2) ბანს, ზედა ხმებისაგან განსხვავებით, ასრულებს მომღერალთა ჭგუფი, რაც გამოიწვევს შესრულების პროცესში იმპროვიზაციული ელემენტების შემოჭრას. ამიტომაც, სიმღერის წარმოშობისა და სხვა სიმღერებთან ნათესაური კავშირების გამოსავლენად, უპირველეს ყოვლისა, სწორედ სიმღერის მოდულაციურ გეგმას უნდა მიექცეს ყურადღება. ერთი სიტყვით, მოდულაციური გეგმა ის თვისებური გენეტკური კოდი, ყველაზე შორეული და დაფარული პროცესების ამოცნობის საშუალებას რომ გვაძლევს. აქედანაც ჩანს, რომ ხალხური სიმღერების მოდულაციური გეგმების შესწავლასა და მათ შედარებით ანალიზს მკვლევარისათვის ფასდაუდებელი სამსახურის გაწევა შეუძლია.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მოდულაციური გეგმების გამოყოფა და გამოკვლევა ჭრეჭრობით შესაძლებელია მხოლოდ ბურღონული ტიპის სიმღერებში, სადაც ბანი ვაჭიმულია, სტატიკური და სადაც მისი მოძრაობა ქმნის ზუსტად ჩამოყალიბებულ, მკაფიო არქიტექტონიკულ ნახაზს. კომპლექსური ტიპის სიმღერებში

(მაგ. სვანური) მოდულაციური გეგმის ზუსტი განსაზღვრა ვაცილებით უფრო რთულია, რადგან აქ ბანი საკმაოდ მოძრავია. განვითარებულ პოლიფონიურ სიმღერებში კი (იგულისხმება დასავლეთ საქართველოს მუსიკალური ფოლკლორი) ბანი ძალზე აქტიურია, იმპროვიზირებული, ამიტომაც მას ხშირად ერთი მომღერალი ასრულებს.

თვალსაჩინოებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია შედგენა მოდულაციური გეგმის გრაფიკულ გამოსახულებისა, სადაც ძირითად ყურადღებას დავუთმობთ ბანს (მისი მელიოდირი ნახაზი საფუძველად დაედება მოდულაციური გეგმის გრაფიკულ გამოსახულებას), ყურადღებას გავამახვილებთ აგრეთვე კილოთა ტონალურ სიმალეებზე. მანძილზე კილო-ტონალობებს შორის, მოდულაციური ცვალებადობის მომენტებზე, ვეცდებით მიახლოებით მაინც დავიცვათ სიმღერის ნაგებობათა მასშტაბები.

ამ პრინციპების მიხედვით გავანალიზებთ ორ ყველაზე ცნობილ ქართულ-კახურ სიმღერას „ჩაკრულოსა“ და „გრძელ კახურ მრავალქაიერს“.

უპირველეს ყოვლისა აღვნიშნავთ, რომ განვითარებულ სუფრულ სიმღერებში ძნელად მოიხიბნება ერთმა-



ნეთისაგან ეწოდენ განსხვავებული სასიმღერო ფორმები.

ჩვენი აზრით, „ჩაქარულს“, როგორც აგებულებით, ისე სხვა მუსიკალური კომპონენტებით, ძალზე ახლოს დგას „სუფრულბთან“ (არა საერთოდ სუფრულის კატეგორიის სიმღერებთან, არამედ კონკრეტულად „სუფრულბთან“. იხ. სიმღერები „ძველი სუფრული“. „სუფრული და მისი დამატება“). ეს სიახლოვე იმდენად მკაფიოა, რომ შეუძლებელია მათ არ გააჩნდეთ წარმოშობის სასესებით კონკრეტული საერთო ძირები! ამას გვაფიქრებინებს „ჩაქარულსა“ და „ძველი სუფრულის“ მოდულაციური გეგმების აშკარა მსგავსება, ოღონდ „ძველი სუფრულში“ ტერციულ მოდულაციებს ორივე-ჯერ გადავავართ დიდი ტერციით ქვევით „ჩაქარულში“ კი ორივეჯერ — პატარა ტერციით ქვევით (იხ. სიმღერების გეგმები № 1 და № 2).

საინტერესოა გარკვევა — შემთხვევითია თუ არა ამ ორი სიმღერის მოდულაციური გეგმების შორის ასეთა მსგავსება. ამის დასადგენად თვალს გადავავლოთ ორივე სიმღერის მუსიკალური ტექსტის უმნიშვნელოვანეს მონაცემებს:

ორივე სიმღერა იწყება შუა ხმის განვითარებული ფრაზებით, რეჩიტატივით კინტაზე და მთავრდება საწყისი კილოს ტერციაზე; ბანის გამოჩენისთანავე ორივე სიმღერაში ერთგვარაა მაღალი ხმა კვინტურ ბეგრაზე, შუა ხმა კი განამტკიცებს კილოს მელოდიური ფორმულის საშუალებით. ამის შემდეგ, პირველი მოდულაციური ცვალებადობაა. ორივე სიმღერაში აქტიურდება მალაი და შუა ხმები. დამავალი ტერციული მოდულაციების განხორციელების შემდეგ მომდევნო მოდულაციამდე, მალაი ხმას მიჰყავს მელოდიური ხაზი; მოდულაცია დიდი სექუნდით ზევით მდებარე კილოში ორივეგან სწრაფობს დადაბლებული მესამე საფეხურის საშუალებით. მალაი ხმა ერთგვარაა მოდულაციური მომენტის წინ. შემდეგ ისევ მოდულაცია დიდი სექუნდით ზევით, ბუნებრივი მესამე საფეხურის საშუალებით. ახალი ტონია („ჩაქარულში“, „ძველი სუფრულში“) წარმოადგენს ორივე სიმღერის ტონალურ კლმინაციას. აქაც იქნება მსგავსი სურათი: კიარტზე რეჩიტატივის შემდეგ მელიოდა ჩამოიძის კილოს პრინაიმდე, რის შემდეგაც გადავდივართ დიდი სექუნდით ქვევით მდებარე კილოში. აქ ისევ მელიოდის პოლიფონურად ანვითარებენ შუა და მაღალი ხმები. შემდეგ ისევ დამავალი ტერციული მოდულაციები, სწრაფად ხდება ახალი ტონალური ცენტრების გადანაცვლება დიდი სექუნდით ზევით. აქ მოცემულია საბოლოო მოზრდილი მუსიკალური მონაკვეთი, სადაც კვავა ზედა ხმები ავითარებენ მელიოდის. ორივე სიმღერა მთავრდება მოდულაციით დიდი სექუნდით ზევით მდებარე კილოში. არსებითად, აღნიშნულ სიმღერებს შორის ყველაზე პრინციპული სხვაობა ბოლო ტაქტებშია („ჩაქარულში“ მოცემულია ბანის საყოფნდნი ბეგვის მეტად თავისებური შემომღერება)!

როგორც ჩანს, გამოირცხლება ამ სიმღერების მოდულაციური გეგმების მსგავსების შემთხვევითობა. შეი-

ძლება თამამად ითქვას, რომ „ჩაქარულსა“ და „ძველი სუფრულს“ შორის არსებობს საკმაოდ მყარი კავშირი. კური კავშირი (სეთსავე შედგეს იძლება „ჩაქარულს“ შედარება სიმღერასთან „სუფრული და მისი დამატება“, გრ. ჩხიკავამ, ქართული ხალხური სიმღერა, ტ. 1, გვ. 285).

ძალზე საინტერესო შედეგებს გვაძლევს „ჩაქარულს“ გამოქვეყნებული ვარიანტების მუსიკალური და სიტყვიერი ტექსტების ანალიზი. მის საფუძველზე დგინდება ამ სწორუპოვარი სიმღერის განვითარების ძირითადი საფეხურები.

მუსიკალური ტექსტის, კერძოდ კი მოდულაციური გეგმების შედარებითა ანალიზმა გვაჩვენა, რომ „ჩაქარულს“ ვარიანტებს შორის სხვაობას ქნის მთავრად დამავალი ტერციული მოდულაცია, რომელიც ფალო-მვილისეულ „ჩაქარულში“ საერთოდ არ გვხვდება, (ეს მოდულაცია № 4 და № 5 გრაფიკულად გამოსახულება აღნიშნული პუნქტირული ხაზებით); დანარჩენ მონაკვეთებში მოდულაციური გეგმები უხსტად ემთხვევა ერთმანეთს. როგორც დაკვირვებამ ცხადყო, ზემოთ აღნიშნული განსხვავება სუფრული სიმღერისათვის დამახასიათებელი მოვლენაა და დაკვირვებულია ტერციული მოდულაციის წარმოშობის ისტორიულ პროცესთან. აქედან გამომდინარე „ჩაქარულს“ ის ვარიანტი, რომელიც სავთობად არ არის აღნიშნული ტერციული სვლა, უძველეს ნიმუშად უნდა ჩაითვალოს (გეგმა № 1); შედარებით უფრო გვიანდელია „ჩაქარულს“ ის ვარიანტები, სადაც ბანის ტერციული ნახტომი წარმოადგენს შემომღერებას დიდი სექუნდის ქვევით მდებარე კილოსათვის (იხ. გეგმა № 4) და ბოლოს, აღნიშნავია „ჩაქარულს“ ის ვარიანტები, რომლებშიც ტერციული მოდულაცია ჩამოყალიბებულია (იხ. გეგმა № 5).

საინტერესოა „ჩაქარულს“ ვარიანტების სიტყვიერი ტექსტის ანალიზიც. აღმოჩნდა, რომ მისი ვარიანტები საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ეს სხვაობა შეიძლება იყოს როგორც ნაწილობრივი, ისე ძირითადი. ამ თვალსაზრისით სიმღერის ვარიანტები იყოფა სამ ძირითად ჯგუფად: 1) აქაც ცალკე დგას ფალომვილისეული „ჩაქარულს“, რომლის ტექსტიც განსხვავდება როგორც სხვა სუფრული სიმღერებისაგან, ისე სხვა „ჩაქარულობისაგან“. 2) სიმღერის ტექსტი აშკარად სუფრულია (ო. ჩიქავამის მიერ გურჯაანში ჩაწერილი ვარიანტი) და 3) „ჩაქარულობის“ ვარიანტების დიდი ჯგუფი, რომლებშიც ნათლად შეინიშნება ნათესაობა სიტყვიერ ტექსტებს შორის.

საყურადღებოა „ჩაქარულს“ კოდაში გამოყენებული ტექსტი, რომელსაც მესამე ჯგუფის სიმღერებს ეკუთვნის მასშტაბურ ვარიანტებში სვლდებით. როგორც ჩანს, სიმღერაში ტექსტის ეს მონაკვეთი, შედარებით უფრო გვიანაა შესული:

„მეტრო დამზარებ“ არ ვხტრი,
ტრილი დიატ წესია,
ზეგრქარ ვუოფლვარ ამ დღეში,
და არც კი დამიკვნიხია
მაცალე მეცა ვაგვართო,
ჩანახანი ცეცხლის მკვეხია,
სულ წმინდად მოგამკვირებ,
რაც ჩვენში დავითესია!“

როგორც გამოირკვა, აქ მოტიანილი ლექსია ეკუთვნის ალ. ყაზბეგს და დაწერილია 1887 წელს.

„ჩაქრულის“ ვარიანტებში ამ ტექსტის შედარებით გვიან შეტანაზე მივივითობს ის ფაქტი, რომ ო. ჩაგვაძის მიერ მოვ. ართახში ჩაწერილი „ჩაქრულის“ მთლიანად აგებულია კუპლეტზე, რომელიც „ჩაქრულის“ სხვა ვარიანტებში ყაზბეგისეულ ტექსტთან ერთად მოცემული (კუპლეთი „ხმალი, ხევესურეთს ნაქედო...“ სიმღერაში მოცემულია პატარა ცვლილებით: „ხმალი ხევესურეთს ნავდებო...“). აღსანიშნავია, რომ ალ. ყაზბეგის ეს ლექსი გვხვდება არა მარტო „ჩაქრულის“ ვში“, მას ვხვდებით თითო „გრძელი კახური მრავალყამიერის“ (I) ერთ-ერთ ვარიანტშიც.

„ჩაქრულის“ სხვადასხვა ვარიანტის ტექსტების შედარებით ანალიზი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ სუფრულ სიმღერებში ტექსტი საკმაოდ ცვალებადი კომპონენტია და რომ სიმღერის ხმოვანების დადგენისას მის მონაცემებს განსაკუთრებული სიფრთხილი უნდა მოვეყაროთ. ეს დებულება, როგორც ჩანს, მეტნაკლებად ყველა ენარის სიმღერებზე ვრცელდება (გავისყენით თუნდაც პოპულარული სიმღერა „ქართველი, ხელი ხმალს იკარა“, რომელიც ა. წერეთლის პატრიოტული ლექსი უკვე არსებული მუხაბერ-მყარულ სიმღერაში შევიქა, ანდა „მევე ერეკლეს დატარება“, რომლის მუსიკალური პანჯე ვაცილებით ადრეული წარმოშობისაა, ვიდრე ტექსტში ვადმოკლებული იტარიული ფაქტი).

ამრიგად, პარალელების გავლება და საერთოდ ისტორიული ძირების მონახვა „ჩაქრულისა“ და სხვა სუფრულების შორის შესაძლებელი ვახნა მხოლოდ სიმღერის ყველაზე მყარი, უცვლელი კომპონენტია — მოდულაციური გეგმების შედარების საფუძველზე. ტექსტის მხრივ კი, როგორც ენახეთ, ხშირად დაკარგულია მსგავსება თვით „ჩაქრულის“ ვარიანტებს შორისაც კი. ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევითი მოვლენა არაა. ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებებს სხვა ხალხური სიმღერების, ანალიზის შედეგებიც ადასტურებენ.

* * *

კიდევ უფრო თავისებური, დამეტრული განსხვავებული სურათი იქმნება მყოფი შესანიშნავი სუფრულ სიმღერის — „გრძელი კახური მრავალყამიერის“ ანალიზის შედეგად. აღმოჩნდა, რომ ამ უპოპულარულეს სუფრული სიმღერის თითქმის არც ერთი უმნიშვნე-

ლოვანესი მუსიკალური კომპონენტი არ თანხვედება სუფრულებისათვის დამახასიათებელ საერთო კანონზომიერებებს!

სანამ გადავიდოდით „გრძელი კახური მრავალყამიერის“ თავისებურებების განხილვაზე, მოკლედ მიმოვიხილოთ „მრავალყამიერის“ ფორმის სიმღერები.

„მრავალყამიერი“ ქართული ხალხური სიმღერის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა. შემთხვევითი არ არის, რომ „მრავალყამიერის“ მრავალყამიერის ვარიანტებს შორის გამოიყვანა ერთმანეთისაგან მნიშვნელოვანი განსხვავებული ფორმები. ჩვენის ახარით, შეიძლება გამოიყოს „მრავალყამიერის“ მეტნაკლებად განსხვავებული სამი ტიპი: 1) ჩვეულებრივი სუფრული მრავალყამიერები, რომლებიც არსებითად არ განსხვავდებიან სხვა სიმღერებისაგან („პი და მრავალყამიერი“, „ძელი მრავალყამიერი“ და სხვ.); 2) „გრძელი კახურის“ კატეგორიის მრავალყამიერები („გრძელი კახური მრავალყამიერი“, „გრძელი მრავალყამიერი“, „გრძელი კახური“, „მრავალყამიერი“, „კახური“) რომლებშიც თავისი სოციალური ფუნქციით სუფრულს განეკუთვნებიან, მაგრამ, ამავე დროს, თავისი აგებულებით მათგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან და 3) ქალაქური მრავალყამიერების ნაირსახეობანი, რომლებიც შედარებით გვიან აიიან შემქნილი და ევროპული მაქორ-მინორული სისტემის ძირითად პარამონიულ კანონზომიერებებს ექვემდებარებიან.

ახლა კი შევეცდებით მოკლედ ჩამოვაყალიბოთ უშუალოდ „გრძელი კახური მრავალყამიერის“ თავისებურებანი:

1) მიუღს აღმოსავლეთ საქართველოს სუფრულ სიმღერებს შორის მხოლოდ „გრძელი კახური მრავალყამიერში“ ვხვდებით აღმოსავლეთ საქართველოს ურთულეს საკლანო ფორმალს — რთულ მოდულაციურ კვარტულ კლანს. არც „ჩაქრულში“ და არც სხვა სამომლოზე სუფრულ სიმღერაში ამ კლანის ჩანასახსაც კი არ ვხვდებით;

2) „გრძელი კახური მრავალყამიერისათვის“ დამახასიათებელი მოდულაციები მხოლოდ სუფრულდებით ზევით და ქვევით. ამ კატეგორიის სიმღერების არც ერთი ვარიანტი არა გვაქვს მოდულაცია დიდი ან პატარა ტერკითი ქვევით მდებარე კოლოში. ამავე დროს, ტერკიული მოდულაციები სხვა განვითარებული სუფრული სიმღერების ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი მოდულაციური ფორმაა.

3) „გრძელი კახური მრავალყამიერებისათვის“ ძალზე დამახასიათებელია მიქსოლიდურ კოლოში ამოღლებული VII საფეხურის ეფერადობა. ეს ელემენტი, რომელსაც ჩვენ „იონიური ელემენტი“ ვუწოდებთ და რომელიც კარგადაა ცნობილი ქართულ ხალხურ სიმღერაში მეტნაკლებად გაცნობიერებული ადამიანებისათვის, გვხვდება როგორც მოდულაციის დროს დიდი სეკუნდით ზევით მდებარე კოლოში, ისე ერთი კილოს ფარგლებში განიტკიცებისას საფეხურებზე: I, VII, I; ამავე დროს საინტერესოა, რომ ეს კარგად ცნობილი მოდულაციური ხარისხი ფაქტურად არც ერთ სხვა სუფრულ სიმღერაში არ გამოიყენება არც მოდულაციისა და არც განმტკიცების მომენტებში.



4) „გრძელი კახური მრავალკამიერი“ ჩვეულებრივ იწყება მოკლე ფრაზით, იწყებს მას მაღალი ხმა და პირველი აკორდი მოქცეულია ოქტავურ ჩარჩოში. სხვაგან სრულებით საწინააღმდეგო სურათი გვაქვს: იწყებს სიმღერას შუა, შესავალი ფრაზა ჩვეულებრივ საკმაოდ განვითარებულია და პირველი აკორდი კვინტის ჩარჩოშია მოქცეული.

და ბოლოს, რაც ჩვენთვის ყველაზე პრინციპული და მნიშვნელოვანია, სრულებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან „გრძელი კახური მრავალკამიერისა“ და დანარჩენი სუფრული სიმღერების მოდულაციური გეგმები, მათი არქიტექტონიკა.

ამაყარაა, რომ აღნიშნული განსხვავებანი შემთხვევითი არ არის, ისინი მომდინარეობენ თვით სიმღერის წარმოშობისა და ისტორიული განვითარების კანონზომიერებიდან. საფიქრებელია, რომ „გრძელი კახური მრავალკამიერი“ ეწყარება რამდენიმე სხვა საფუძველს, ვიდრე ყველა სხვა სუფრული სიმღერა. ამ აზრს განსაკუთრებით აღრმავებს „გრძელი კახური მრავალკამიერის“ მოდულაციურ გეგმაში რთული მოდულაციური კვარტული კადანსის არსებობა.


ქართულ ხალხურ სიმღერებში ეს კადანსი სხვადასხვა სახით გვხვდება. „გრძელ კახურ მრავალკამიერში“ გხვდებით მხოლოდ მის ყველაზე განვითარებულ, რთულ ფორმებს, რაც გვაფიქრებინებს, რომ ამ კადანსმა ასეთი სიმაღლეს თვით ამ სიმღერის მრავალსაფეხოვანი განვითარების გზით შიალწია. სრულიად გამორიცხულია სუფრულ სიმღერაში ამ კადანსის შემთხვევითი შემოჭრის შესაძლებლობა, მით უმეტეს, რომ ამ კადანსს „გრძელ კახურ მრავალკამიერში“ აშკარად გამოკვეთილი, ცენტრალური ადგილი უჭირავს, მას სიმღერაში შეაქვს უდიდესი ემოციური ამბავლობა, მისი საშუალებებით იქცევა სიმღერა ე. წ. „გრძელი“, ანუ ჩაუკეტავი კავებორობის ნაწარმოებად და ბოლოს, სწორედ ეს კადანსი აფერხვინებს მთელ სიმღერას.

ძალზე საყურადღებოა რთული მოდულაციური კვარტული კადანსის ჩასახლება და განვითარების სურათის შესწავლა: აქ ყველაზე ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ეს კადანსი უნდა გაჩენილიყო მხოლოდ იმ სიმღერებში, სადაც გვაქვს რიტმულად ორგანიზებული და მკვეთრად აქცენტრებული ბანი. ამასთან, ისიც ცნობილია, რომ რიტმულად ორგანიზებული და აქცენტრებული ბანი არ შეიძლება ჰქონდეს სუფრულ, ბურდონულ სიმღერას! მაშინაც, მუსიკალური მასალის გასინჯვის შემდეგ ადვილად ვრწმუნდებით, რომ რთული მოდულაციური კვარტული კადანსის ჩანასახის ფორმებს ჩვენ ძირითადად გხვდებით მკერულ, შეზავურულს და სადერხლო სიმღერებში. რაც, შეხვება სუფრულ სიმღერებს, მათთვის დამახასიათებელი ბანის გაკომპლექსოვანება ვერ შექმნიდა ამ კადანსის გაჩენის ობიექტურ პირობებს.

ამ კანონზომიერების დადგენის შემდეგ წამოიჭრა მეტად თავისებური ჰიპოთეზა „გრძელი კახური მრავალკამიერისა“ და „მაყრული“ სიმღერების წარმოშობის საერთო ძირების, მათი ნათესაობის შესახებ. ამ ერთა შეხვედრით მეტად თამამი მოსაზრების ანალიზის საფუძველზე მიღებულმა დასკვნებმა ნამდვილად საინტერე-

სო და ანგარიშგასაწევი შედეგები მოგვცა. „მაყრულსა“ და „გრძელ კახურ მრავალკამიერს“ რამდენიმე მნიშვნელოვანი და აშკარად გამოხატული საერთო ნიშანთვისება აღმოაჩინდა:

1) ორივე მითვანი (ლაპარაკია „მაყრულებსა“ და „გრძელ კახურ მრავალკამიერებზე“) ჩაუკეტავი ფორმის განმეორებად სიმღერას წარმოადგენს. რა თქმა უნდა, თავისი დინების დინჯი, აულტეგებელი ტემპის გამო „გრძელ კახურ მრავალკამიერში“ განმეორება შედარებით უფრო ნაკლებად გვხვდება, ვიდრე, სწრაფ და დინამიურ „მაყრულებში“.



1. ჩაყრული, ჩაქ. წ. ფალიაშვილის მიერ სოფ. ვანაძიანში (გრ. ჩხიკვაძე, ქართული ხალხური სიმღერა, თბ. 1960, ტ. 1, გვ. 303);
2. ძველი სუფრული, ჩაქ. დ. არაყიშვილის მიერ სოფ. შაბანში (გრ. ჩხიკვაძე, ქართული ხალხური სიმღერა, ტ. 1, გვ. 307);
3. სუფრული და მისი დამატება, ჩაქ. დ. არაყიშვილის მიერ (გრ. ჩხიკვაძე, ქართული ხალხური სიმღერა, ტ. 1, გვ. 284);
4. ჩაყრული, ჩაქ. ო. ჩიქავაძის მიერ გურჯაანში (ო. ჩიქავაძე, ქართული (კახური) ხალხური სიმღერები, ტ. 11, თბ., 1969, გვ. 63);
5. ჩაყრული — მოდულაციური გეგმა საგარეგნო, თვალსა და ნათვალს შორის ვარცხლებული ვარიანტებისა (ო. ჩიქავაძე, ქართული (კახური, ხალხური სიმღერები, ტ. 11, გვ. 121 და ტ. 1, გვ. 104 და გვ. 118);
6. გრძელი მრავალკამიერი, ჩაქ. დ. არაყიშვილის მიერ (გრ. ჩხიკვაძე, ქართული ხალხური სიმღერა, ტ. 1, გვ. 290) გეგმა მოქცეულია მე-10 ტაქტიდან;
7. მაყრული, ჩაქ. წ. ფალიაშვილის მიერ სოფ. ვანაძიანში (გრ. ჩხიკვაძე, ქართული ხალხური სიმღერა, ტ. 1, გვ. 303);
8. გრძელი კახური, ჩაქ. გრ. ჩხიკვაძის მიერ (გრ. ჩხიკვაძე, ქართული ხალხური სიმღერა, ტ. 1, გვ. 293);
9. შეზავურული, ჩაქ. ი. ურდანიას მიერ სიღნაღში (კონსერვატორიის ხალხ. შემოქმედების კაბინეტის მასალები).



2) ორივე სიმღერა, ჩვეულებრივ, იწყება ოქტავურ აკორდული ჩარჩოთი მოკლე შესავლის, შემთხვევის შემდეგ.

3) ორივეს მოუცილებელი შემადგენელი კომპონენტია როდული მოდულაციური კვარტული კადანსი, რომელიც ასევე ორივეგან დიდი, განმეორებადი მონაკვეთების წინაა მოცემული. ორივე სიმღერა მთავრდება ამ კადანსის მიერ განხორციელებული აღმავალი სკეუნდური მოდულაციებით. სხვა სუფრული სიმღერებში მთავრდებიან აღმავალი მოდულაციებით.

4) ძალზე საინტერესოა ბანის თავისებური მოძრაობა როდული მოდულაციური კვარტული კადანსის წინ: იგი ორჯერ (ან ერთხელ) ჩამოიღის VII საფეხურზე, რითაც ადამრთავი კიბეის კოლოს, „უნერგვის იღებს“ ამ კადანსის აღმავალი მოძრაობის დაწყებამდე, ეს მეტად თავისებური მომენტი ასევე ხშირად გვხვდება როგორც „მაყრულებში“, ისე „გრძელ კახურ მრავალკამიერებში“.

5. „მაყრულებში“ გვხვდებიან იმ ელემენტებსაც, რომელიც „გრძელ კახურ მრავალკამიერს“ განასხვავებდა სხვა სუფრული სიმღერებისაგან (ივლისსმება — იონიური ელემენტები).

და ბოლოს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ერთმანეთს შესამჩნევად ემთხვევა „მაყრულისა“ და „გრძელი კახური მრავალკამიერის“ განმეორებადი მონაკვეთების ძირითადი არქიტექტონიკა; იმ განსხვავებით, რომ „გრძელ კახურ მრავალკამიერში“ ყოველი მონაკვეთი, ბურღონული სიმღერის შვიდი, აღქმარბელი მოძრაობის შესაბამისად, საკომპონოდ „გავეწლია“ (შეადარე ერთმანეთს, მოდულაციური გეგმები: № 6-7 და № 8-9).

აქვე არ უნდა დაგვივიწყდეს ერთი ფრიალ მნიშვნელოვანი და საინტერესო მომენტი: ისევე როგორც „მრავალკამიერებში“, „მაყრულებშიც“ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავისი აგებულებითა და ძირითადი მუსიკალური კომპონენტებით, ეკრძოდ, ღიბი ხანია შემჩნეულია (დ. არაყიშვილი, შ. ასლანიშვილი) „მაყრულების“ ორა კატეგორია — მგზავრული (აგრეთვე საფერხული) მაყრულები და სუფრული მაყრულები. სუფრული მაყრულები თავისი აგებულებითა და ფორმით ძალზე ახლოს დგანან სხვა სუფრული სიმღერებთან და ამდენად, ისინიც პირველხელად განსხვავდებიან „გრძელი კახური მრავალკამიერის“ კატეგორიის სიმღერებთან. ჩვენთვის მნიშვნელოვანი და საინტერესოა მგზავრული და საფერხული მაყრულები, რადგან სწორედ ისინი ამჟღავნებენ უნდავე მსგავსებას „გრძელი კახური მრავალკამიერის“ სიმღერის ფორმასთან.

გასათვალისწინებელია კიდევ რამდენიმე ფაქტორი: 1) ისევე როგორც „მაყრულებში“, „გრძელი კახური მრავალკამიერში“ იმღერებოდა მაყრების მიერ, ეს ორივე სიმღერა ქორწინების პროცესის აუცილებელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ ამავე დროს საქორწინო სუფრასზე შეესწოთ საერთოდ არ ემღერათ „ჩაყრულო“!.

2) ძალზე მნიშვნელოვანია, რომ დღეისათვის ჩვენ მოგვცა „მაყრულები“, რომლებიც აშკარად „მგზავრული მაყრულო“ აგებულებისაა, მაგრამ მათი დინჯი ტემპი, ბურღონული ტიპის ბანი, შედარებით თავისუფალი მეტრი და ზომა მიგვიითხებს, რომ მათი შესრულება თავისუფლად შეიძლება სუფრასზეც — ამას მოწმობენ რგებში მოცემული თავისებური გარდამავალი საფეხური ტემპია, რიტმული მახვილი „მაყრულებსა“ და დინჯი, ბურღონულ „გრძელ კახურ მრავალკამიერს“ შორის (ასეთებია, მაგალითად, შ. შველიძის ჩაყრული „მაყრულო“, გ. ჩხიკვაძე, ქართული ხალხური სიმღერა, ტ. I, გვ. 356 და რ. ჩიკავაძის მიერ ჩაყრული „მაყრულო“, ი. ჩიკავაძე, ქართული (კახური) ხალხური სიმღერები, ტ. II, გვ. 76).

შესაბამისად, „გრძელი კახური მრავალკამიერიც“ შედარებით უფრო გვიან უნდა ჩამოყალიბებულიყო სუფრულ სიმღერად, მას შემდეგ, რაც „მაყრულებში“ განიცადეს ევოლუცია და იქნებ დინჯი, ბურღონულ სიმღერებთან. საფიქრალია, რომ სხვა ტიპის „მრავალკამიერები“, რომლებიც თავისი აგებულებით სუფრულ სიმღერებს უხლოვდებიან, შედარებით ადრე უნდა გაჩენილიყვნენ. ყოველ შემთხვევაში, ამაზე ზოგჯერ თვით სიმღერის სახელწოდებაც მიგვიითხებს (მაგალითად — „ეფელი მრავალკამიერი“).

რაც შეეხება ისეთ როდულ მეტამორფოზას, როგორცაა მოძრაობა, რიტმული მახვილი, აქტიური ბანის მქონე სიმღერის „გარდაქმნა“ დინჯი, ბურღონულ სიმღერად, იშვიათი მოვლენაა ხალხური სიმღერის რაპტიკისათვის. აქ შეიძლება გავიხსენოთ განვითარებული პოლიფონიური სიმღერები, სადაც თავისებურადაა „გაფეწილი“ კომპლექსური სიმღერის არქიტექტონიკა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „გრძელი კახური მრავალკამიერის“ სხვადასხვა ვარიანტშიც კი განსხვავებულია მუსიკალური მასალის მიწოდების ტემპი. საქმე ისაა, რომ მაღალი კლასის მომღერლები გვიავაზობენ უფრო მრავალკამიერისა და როდულ მეტამორფოზის ნახაზებს, რის შედეგადაც სიმღერის ფორმა კიდევ უფრო ფართოვდება და მასშტაბური ხდება სიმღერის „გაფართობის“ ეს პროცესი დღესაც გრძელდება.

